ლელო

№ 36
(11 288)

14 – 17 მაისი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„პარმა“ – გზა მაღალი საზოგადოებისაკენ!

იხ. მე-5 გვ.

ჭადრაკი • მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი ქალთა შორის

ფრთხილი ლიდერები

ტურნირებისთვის, რომლებიც შვეიცარიული სისტემით ტარდება, დამახასიათებელია ერთი თავისებურება: რაც მეტი პარტია თამაშდება, ასპარეზობა უფრო საინტერესო ხდება. აქ არის სერიოზული განსხვავება წრიული სისტემით წარმართულ შეჯიბრებებთან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება ფინიშისათვის ნაკლებად მიმზიდველი გახდეს.

თბილისის ზონალური ტურნირი ისეთ ფაზაში შევიდა, როცა დაძაბულობა საცაა კულმინაციას მიაღწევს. მთავარი პროგნოზი სავსებით მართლდება. 7 საგზურის პრეტენდენტები კვლავინდებურად ქართველი და იუგოსლაველი მოჭადრაკეები არიან. ვერც სომხები, ვერც მით უმეტეს ბერძნები და თურქები მათ ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევენ, თუმცა მთლიანად მათთვის ანგარიშის გაუწევლობა მაინც არ შეიძლება.

ჯერ ტექნიკურ შედეგებს გადავხედოთ: **მესამე ტური** — ჭარხალაშვილმა მოუგო ხმიადაშვილს, წურწუმია — ხლგატიანი და მაკროპულუ-მკრტიჩიანი ყაიმზე შეთანხმდნენ. **მეოთხე ტური** — ლომინეიშვილმა მოუგო ნიკოლაძეს, ჭარხალაშვილმა — მაკროპულუს, მათნაძემ — გვეტაძეს, გასპარიანმა — დარჩიას, ხურცილავამ — მაისურაძეს, მანაკოვამ — ჯავახიშვილს, ჩინარმა — ხლგატიანს, ხმიადაშვილმა — წურწუმიას, პეტრაკიმ — სისმანს, სანლიმ — სტირის, ყაიმზე შეთანხმდნენ ბოიკოვიჩ — ვუქსანოვიჩი, ხურციძე — პრუდნიკოვა, ტყეშელაშვილი — გოლეთიანი, ფახირიდუ — დანიელიანი, ეძგვერაძე — ხორავა, მკრტჩიანი — ბოტსარი. **მეხუთე ტური** — პრუდნიკოვამ მოუგო გოლეთიანს, ხურციძემ — დანიელიანს, ნიკოლაძემ — ფახირიდუს, მანაკოვამ — ჭარხალაშვილს, გვეტაძემ — ბოტსარის, ეძგვერაძემ — გასპარიანს, ჩინარმა — მაისურაძეს, მაკროპულუმ —

იხ. მე-6 გვ.

გუშინ. VI ტური: მანაკოვამ მოუგო ეძგვერაძეს, ტყეშელაშვილმა – გვეტაძეს, გოლეთიანმა – ჩინარს, დანიელიანმა – ჭარხალაშვილს, ხურცილავამ – მაკროპულოს, მაისურაძემ – ხმიადაშვილს, სტირმა – პეტრაკს. ყაიმზე შეთანხმდნენ: ლომინეიშვილი – პრუდნიკოვა, ბოიკოვიჩი – მათნაძე, მკრტჩიანი – ფახირიდუ, სანლი – სისმანი.

სამარანჩი საქართველოში მეორედ ჩამოდის

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, მას შემდეგ, რაც სეოკ-მა აღიარება მიიღო, უკვე მეორედ ჩამოდის საქართველოში. პირველად იგი თბილისს 1994 წელს აპრილში ეწვია, შეხვდა ჩვენს სპორტსმენებს და სპორტის მუშაკებს, ქვეყნის პრეზიდენტს. ამჯერად სამარანჩი თავის ვიზიტს საქართველოს პრეზიდენტისათვის მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ჯილდოს — „ოლიმპიური ორდენის“ გადაცემას უკავშირებს. სტუმრობა ფაქტობრივად ერთდღიანია — ჩამოდის კვირას, 16 მაისს, საღამოს და უკან მიემგზავრება მეორე დღის საღამოს. ორშაბათ დილით, სოკის პრეზიდენტს ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი უმასპინძლებს, სადაც იგი დაათვალიერებს ოლიმპიურ მუზეუმს, რომლის შექმნის ფინანსური პრობლემის გადაჭრაში სეოკმა და პირადად სამარანჩმა დიდი წვლილი შეიტანა. შემდეგ, როგორც ადრე, მოსწავლეთა სასახლეში შეხვდება სპორტულ აქტივს, მოინახულებს ბავშვთა ნახატების გამოფენას. შეხვედრა და „ოლიმპიურ ორდენს“ გადასცემს ედუარდ შევარდნაძეს.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ორშაბათს, 17 მაისს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს სასტუმრო „შერატონ მეტეხ პალასში“ 16 საათსა და 45 წუთზე.

სეოკ-ის პრესსამსახური

კალათბურთის ამბები

პირველი ტურნირი – ორი გამარჯვებული

„მერიის თასი“ ჩვენში ხმაურით დამკვიდრდა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში. ჯერ პირველი გათამაშება ჩატარდა, მაგრამ ორგანიზატორები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ კალათბურთელთა ეს ასპარეზობა ტრადიციული გახდება, მერე და მერე უფრო მეტი უცხოელები ჩამოვლენ თბილისში. ამჯერად კი ტურნირს საერთაშორისო სტატუსი მხოლოდ სანკტ-პეტერბურგელებმა შეუნარჩუნეს, აზერბაიჯანელებმა თანხმობა უეცრად შეცვალეს უარით და ფაქტობრივად ტურნირში საქართველოს ნაკრები, კადეტთა ნაკრები, სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკი“ და რუსთავის „აზოტი“ მონაწილეობდა. ეს უკანასკნელი აზერბაიჯანელთა ნაცვლად ჩაერთო ტურნირში. ასე და ამგვარად, პირველი ტურნირისადმი სპორტული ინტერესი მაინცდამაინც დიდი არ ყოფილა. „აზოტის“ და კადეტთა ნაკრებების III ადგილისათვის მატჩი საწვრთნელ ვარჯიშს უფრო ჰგავდა, სადაც პირველ ტაიმში კადეტებს ჰქონდათ „უპირატესობა“, მეორეში — „აზოტს“. საბოლოოდ რუსთაველებმა იმარჯვეს ერთი ქულის სხვაობით 87:86.

ფინალი უფრო საინტერესო გამოდგა და ეს არც იყო მოულოდნელი. საქართველოს ნაკრებს ამ მატჩისთვის ჩვენი ლეგიონერებიც შეემატნენ. სანკტ-პეტერბურგელთა გუნდი თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ შემდეგ მიხვდნენ, რომ კულისებს მიღმა სულ სხვა ჩანაფიქრი ყოფილა, მსაჯს კი იგი ოსტატურად უნდა ექცია რეალობად. 84:84 — ასე დასრულდა ეს შეხვედრა, რასაც ლოგიკური გაგრძელება, რატომღაც არ მოჰყვა და გამარჯვებულად ორივე გუნდი გამოცხადდა, გარდამავალი თასი კი თბილისში დარჩა...

ვის ჰყავს მერი ჩვენისთანა

თბილისის მერიას რომ ვანო ზოდელავასნაირად სპორტზე შეყვარებული თავკაცი არასოდეს ჰყოლია, სპორტის მუშაკებმა ყველაზე უკეთ იციან. დედაქალაქში სპორტული ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდა, რაც ვანო ზოდელავას დიდი დამსახურებაა. მერიაში გამართულ თათბირზე, როგორც იქნა, კვლავ ამახვილებენ ყურადღებას სპორტზე, ეს კი ბევრს ნიშნავს, როგორც იტყვიან, ქალაქის ხელმძღვანელი პირადად აკონტროლებს სიტუაციას. ვანო ზოდელავა იმ თანამედროვე ხელმძღვანელთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ყველაფერში პირად მაგალითს იძლევა. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა თბილისის მერიის კალათბურთელთა გუნდი შეიქმნა და მისი კაპიტანი თავად გახდა ქალაქის მერი. ამ გუნდისა და სანკტ-პეტერბურგის გუბერნიის ადმინისტრაციის ნაკრების შეხვედრაში მასპინძლებმა ვერაფერი გააწყვეს სტუმართა ტიტულიანი ვეტერანი კალათბურთელების წინააღმდეგ და დამარცხდნენ 36:45.

თბილისის მერიისა და სანკტ-პეტერბურგის გუბერნიის კალათბურთელთა გუნდები (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო)

თსუ – „აზოტის“ მატჩი გადათამაშდება

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, ეროვნულ ჩემპიონატში ამ ორი გუნდის შეხვედრაში მატჩის ბოლო წამებზე მოხდა გაუგებრობა. თსუ-მ არგუმენტირებული პროტესტი შეიტანა მატჩის გადათამაშების მოთხოვნით. მთავარ მსაჯთა კოლეგიამ და სადისციპლინო კომისიამ დააკმაყოფილეს უნივერსიტეტელთა მოთხოვნა. მატჩი გადათამაშდება. თარიღი მოგვიანებით დადგინდება.

მილოცვა

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“, საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ და ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო გულითადად, ღრმა პატივისცემით ულოცავენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულს, პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ იმერეთის მხარის რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის აღორძინებისათვის დაუღალავ მზრუნველს ***ესტატე გოგლიჩიძეს დაბადებიდან 50 წლისთავს.***

ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე



ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქუთათურებს ფეხბურთზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. 1909 წლის 22 ოქტომბერს კი ექსკურსიაზე მყოფმა თბილისელმა გიმნაზიელებმა საჩვენებელი ტანვარჯიშული გამოსვლები ჩაატარეს რეალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ე.წ. „ხოპერ კაზაკთა“ პოლკის მოედანზე წარმოადგინეს ფეხბურთი. ეს იყო ქუთაისში ჩატარებული პირველი საფეხბურთო მატჩი: თამაშს დიდძალი ხალხი დაესწრო.

სულ მალე ფეხბურთი საოცრად მოედო მთელ ქალაქს, გუნდები შექმნეს ოღასკურელებმა და „ზასტაველებმა“, ბალახვნელებმა და საფიჩხიელებმა, ჭომელებმა და გოჭოურლებმა. მაშინ საფეხბურთო ფორმაზე და მოედნის კეთილმოწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მოედანს თვით ენთუზიასტები აკეთებდნენ, ჩასაცმელსაც თვითონვე იძენდნენ, რაც შეეხება ბურთს, მისი შოვნა ნამდვილი პრობლემა იყო. ქუთაისელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1911 წელს მ. გორგაძისაგან კიევის ორტის ქარხნის გამოშვებული ბურთი მიიღეს.

იმართებოდა ორმხრივი თამაშები, ეუფლებოდნენ ბურთის დამუშავების ტექნიკას, სწავლობდნენ კოლექტიურ თამაშს. უბანი უბანს, ქუჩა ქუჩას ეჯიბრებოდა. ოღასკურელები „ზასტეველებს“, ჭომელები საფიჩხიელებს, გოჭოურლები ბალახვნელებს.

1911-12 წლებში ქუთაისში ფეხბურთის პირველი ოფიციალური გუნდი უნდა შექმნილიყო. ქუთაისის საქალაქო არქივში დაცულია საინტერესო საბუთი, რომლითაც ირკვევა, რომ რეალური სასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებელი იასონ გაბაშვილი, თხოვნით მიმართავდა იმავე სასწავლებლის დირექტორს, რათა შეეძინათ სპორტული იარაღები და მათ შორის ოთხი ფეხბურთის ბურთი. ეს გვაფიქრებინებს, რომ სასწავლებელში არსებობდა, ან ის-ის იყო საფუძველი ეყრებოდა ფეხბურთის გუნდს.

1916 წელს საქალაქო გაზეთ „სამშობლოს“ ცნობით, „კვირას 9 ოქტომბერს, 3 საათზე ქუთაისში ხარაზოვის ბაღში გაიმართება შეჯიბრება „ფუტბოლის“ თამაშში. შეჯიბრება მოხდება ორ ჯგუფს შორის „ვეფხვი“ და „სპორტი“. სამწუხაროდ, აღნიშნული გუნდების შემადგენლობა და მატჩის ტექნიკური ანგარიში ჩვენთვის უცნობია, ერთი რამ კი ცხადია, ფეხბურთი ფართოდ მკვიდრდებოდა ქუთაისში.

ბუნებრივია, ფეხბურთელთა პირველი გუნდები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ მზრუნველობას და ყურადღებას. გუნდებს ენთუზიასტები ქმნიდნენ. სხვა საკითხებსაც თავად აგვარებდნენ. რაც შეეხება საფეხბურთო მინდვრებს, მატჩები იმართებოდა კლასიკური გიმნაზიის (დღეს I საშ. სკოლა) ეზოში, ხარაზოვისეულ ბაღში

იხ. მე-3 გვ.

სპორტული ცენტრები

15 წელიწადი გუდაურის „აღმოჩენიდან“

დიახ, როგორც სამთოსათხილამურო სპორტის ერთ-ერთი უნიკალური ადგილის, გუდაურის სპორტული იერსახის შეძენიდან 15 წელიწადი გავიდა. აქედან ნახევარი შენებას მოხმარდა, მეორე ნახევარი... ნგრევას. მაგრამ გუდაური მაინც გადარჩა, გადარჩა უპირველესად პატრიოტი და თავდადებული ადამიანების წყალობით, რომელთა შორის, არ შევცდებით თუ ვიტყვით, განსაკუთრებული ფიგურაა ვახტანგ მიქელაძე, პიროვნება, რომელმაც მთელი ცხოვრება ჩვენში სპორტის ზამთრის სახეობათა სამსახურს შეალია და დღესაც მუხლჩაუხრელად შრომობს, ასე ვთქვათ, გუშაგად უდგას სპორტულ გუდაურს, მაგრამ მისი ყურადღება დღენიადაგ ბაკურიანისკენაცაა მიპყრობილი.

— საქართველოსთვის მძიმე წლებმა, გუდაურშიც ჰპოვა გამოძახილი. ახლა ყველაფერს ვაკეთებთ, რათა აღვადგინოთ ყველაფერი, რაც იმ წლებში განიავდა. დღეს მთავარია, გუდაურს დავუბრუნოთ სპორტული იმიჯი, — ამბობს შპს ერთობლივი საწარმო „გუდაურის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ მიქელაძე.

● *ბატონო ვახტანგ, თქვენ, სხვებთან ერთად, ბევრი რამ გააკეთეთ ბაკურიანის და გუდაურის კეთილდღეობისათვის, მაგრამ ახლა სხვა დროა. მთავარი მაინც ფინანსებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც იყო, იმის აღდგენასაც ხომ თანხები სჭირდება...*

— ცხადია, დაფინანსების პრინციპი შეიცვალა. სახელმწიფო დოტაცია მოიხსნა. ახლა ვიღაცამ თავისი ხარჯებიდან უნდა გაიღოს როგორც ბაზების აღდგენა-კეთილმოწყობის და მისი ქსელის გაფართოების, ისე სპორტული შეჯიბრებების ჩატარებისთვის აუცილებელი თანხები. დროა, უფრო თამამად დავნერგოთ ამ საქმეში უცხოელთა გამოცდილება. დადგა იმის დროც, დავადგეთ სათხილამურო ინდუსტრიის განვითარების გზას.

● ***ხომ არ დააკონკრეტებდით?***

— ლაპარაკია სპორტისა და ბიზნესის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე. ოთხმა მსხვილმა ფირმამ შპს „გუდაურმა“, შპს „ყაზბეგმა“, „ანგლო-ჯორჯიამ“ და სააქციო საზოგადოება „გეგეტმა“ დავდეთ ერთობლივი ხელშეკრულება საქართველოს ნაკრები გუნდების დახმარების თაობაზე. ეს გუნდები, ჩვენ, როგრც ოფიციალურ სპონსორებს, ნაცვალგებით რეკლამას გაგვიწევენ. ფედერაციამაც უნდა გამონახოს ბაკურიანსა და გუდაურში წელიწადში მინიმუმ 3 შეჯიბრების ჩატარების შესაძლებლობა მაინც და აქედან ერთი აუცილებლად უნდა იყოს საერთაშორისო, ეს აუცილებელია. გუდაურში სადღეისოდ უკვე მუშაობს 12 საბაგირო გზა. ასე რომ, ამ მიმართებითაც რაღაც უკვე გაკეთდა.

● ***შიდა შეჯიბრებ[illegible] რას იტყვით?***

— მთავარია მოწადინება. აგერ, საქართველოს პირველობა ხომ ჩავატარეთ უპრობლემოდ. ამ ასპარეზობის გამართვა სასტუმრო „მარკო პოლომ“ ითავა და ჩინებულადაც გამოვიდა ყველაფერი. მაგრამ ეს არ კმარა. სხვა შესაძლებლობებიც უნდა გამოინახოს, როგორც აქ, გუდაურში, ისე ბაკურიანში. შეჯიბრებები ერთნაირად მოენატრათ, როგორც სპორტსმენებს, ისე გულშემატკივრებს.

● **დიდი მადლობა, რომ საქართველოს პირველობა თქვენი უშუალო თაოსნობით გაიმართა. როგორ ფიქრობთ, საიმედო თაობა მოდის?**

— პოტენცია აშკარად იგრძნობა. მოზარდები ძალიან მონდომებულები არიან. მათთვის დიდი სტიმულია, რომ ბაკურიანსა და გუდაურში დაოსტატებული მათზე უფროსი მეგობრები, უკვე მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ლილიჰამერსა და ნაგანოში.

● **ასევე თქვენი ზრუნვითვე გახსნილ გუდაურის სკოლაზე რას იტყვით?**

— ეს სკოლა აუცილებელი იყო გუდაურში, აქ მომუშავე პერსონალის შვილების სწავლა-განათლებისათვის. მაგრამ ჩვენ ამ სკოლას მივეცით სპორტული მიმართულება, რაც ჩვეულებრივი ამბავია თბილისშიც და კარგ შედეგს იძლევა. ხომ ნახეთ რა კარგად იასპარეზეს თამარ გაგაძემ, ვეფხვია ობგაიძემ და სხვებმა. ეს, კარგა ხნის შემდეგ, პირველი სერიოზული შეჯიბრება იყო და სწორად ძოვიქეცით, შეჯიბრებაში მოზრდილებიც რომ ჩავრთეთ. ამით მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა და ასპარეზობისადმი ინტერესიც ამაღლდა.

● ***რამდენადაც ვიცით, თქვენ საკუთარი მოსაზრება გაქვთ ასეთი შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებით. თუ შეიძლება გაუზიარეთ იგი „ლელოს“ მკითხველებს...***

— საქმე ის გახლავთ, რომ სპონსორი სპონსორია და ის არ უნდა ზრუნავდეს შეჯიბრებების ჩატარების ორგანიზაციაზე. ამას სხვები, კომპეტენტური სპეციალისტები უნდა აკეთებდნენ. უნდა დაიხვეწოს სტრუქტურა და ყველამ თავისი საქმე აკეთოს კომპეტენციის ჩარჩოებში. მე ასე მესახება — უნდა შედგეს შეჯიბრების მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი და ცალკე კომიტეტი, რომელშიც შევლენ მონაწილე კლუბებისა და გუნდების წარმომადგენლები. ისინი ერთმანეთთან, ცხადია, ითანამშრომლებენ, მაგრამ არ ჩაერევიან ერთმანეთის ფუნქციაში. რაღაც ამის მსგავსი ამ შეჯიბრებაზე იყო ჩანასახის სახით, რასაც სრულყოფა დასჭირდება.

● ***მაგრამ ამჯერად ხომ ამ პირაილობაზე ყველაფერმა, როგორც იტყვიან, თქვენს მხრებზე გადაიარა, ყველაფერს თქვენ ხელმძღვანელობდით...***

— ახლა მეტი გამოსავალი არ იყო. ამიტომ ვამბობ, რომ საშეჯიბრო სისტემა, ჩატარების ორგანიზაციის ჩათვლით, უნდა დაიხვეწოს...

ესაუბრა სოფიო ხეთაგაშვილი

კარატე-დო | საერთაშორისო ტურნირი

ტურნირებს ბათუმური მასპინძლობა ალამაზებს

ბათუმი სპორტულ ასპარეზობათა ცენტრადაც იქცა, ღონისძიებების ჩატარება კი ხელს უწყობს სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, თანამედროვე ინვენტარით მათ აღჭურვას. ასპარეზობათა შორის საკმაოდაა საერთაშორისო ტურნირები. ერთი ასეთი შეხვედრა ამ დღეებში გაიმართა კარატე-დოში თურქეთის სპორტსმენთა მონაწილეობით. საგანგებოდ ამ ტურნირისათვის ბათუმელებმა შეიძინეს საუკეთესო ტატამი, რომლის მსგავსი საქართველოში არ არის.

ასპარეზობის ორგანიზატორები იყვნენ დემოკრატიული აღორძინების კავშირი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია და აჭარის კარატე-დოს ფედერაცია. ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა, რომლის პროგრამაში კულტურული ღონისძიებებიც შედიოდა. მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ილია ჭავჭავაძის და მემედ აბაშიძის ძეგლები.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა — გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა, ბათუმელი და ართვინელი კარატისტები დადგნენ პირისპირ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 5:3. ტურნირზე უხვად იყო პრიზები, გამარჯვებულებს და პრიზიორებს გემოვნებით დამზადებული მედლები და დიპლომები გადაეცათ.

ტურნირის ორგანიზატორები და მონაწილეები ბათუმის ქუჩებში, რაც ტურნირის კარგი რეკლამა გამოდგა.

— 21-23 მაისს ევროპის ჩემპიონატი ტარდება ათენში და ეს ტურნირი ორივე ქვეყნის ნაკრებისთვის, ძალთა შემოწმების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. რაც მთავარია, ტურნირის ვიდეოჩანაწერი გაიგზავნა კარატე-დოს მსოფლიო ფედერაციაში, რათა ამ ტურნირს კატეგორია მიენიჭოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბათუმის ტურნირი უფრო წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული გახდება. საამისოდ კი ყველა წინაპირობა გაგვაჩნია, — თქვა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

კვარცხლბეკი:

ბიჭები. ***(10-12 წ.):*** 1. ლევან გორელაშვილი (თბ), 2. ბექა კუხიანიძე (ქუთ), 3. სემიჰტოპალი (თურქ), ბექა ჯანჯალია (თბ); ***13-15 წ. მსუბუქი წონა:*** 1. დათო შერვაშიძე (ქუთ), 2. იაზ ფაზიხი (თურ), 3. ლევან ბეკვერია (ფოთი), დათო რევაზიშვილი (ბთ); ***13-15 წ. მძიმე წონა:*** 1. გიორგი გორდაძე (ქუთ), 2. ზაქრო გაბეცაძე (გორი), 3. დათო აბრამიშვილი (თბ), იაკუპ ხანედარი (თურ); ***16-17 წ. მსუბუქი წონა:*** 1. სოსო ხანთაძე (ქუთ), 2. ნუგზარ ხიმსიაშვილი (თბ), 3. ანდერ კარადენტე (თურ), ჯონი კინწურაშვილი (თბ); ***16-17 წ. მძიმე წონა:*** 1. გიორგი გოლოშვილი (გორი), 2. ირაკლი ხაჯიშვილი (ბთ), 3. გუროლ იაცგელდი (თურ), დავით წულუკიძე (ქუთ).

ვაჟები. (18 წ. ზევით). 65 კგ: 1. ცენგიზ ცუმხური (თურ), 2. დათო გოგლიძე (თბ), 3. ჯონი დიასამიძე (ბთ), შალვა მახვილაძე (ქუთ); ***უფროსები: 75 კგ:*** 1. გიორგი საკაშვილი (გორი), 2. რამაზ სახვაძე (თბ), 3. ნიკა შარაშენიძე (ქუთ), მურად ბენალიევი (ბთ); ***ვაჟები. უფროსები. +80 კგ:*** 1. დათო ყვანია (თბ), 2. ალიტ სახტანი (თურ), 3. ზაზა ბურჯანაძე, დათო კოველაძე (ორივე — ქუთაისი).

გოგონები: ***10-12 წ:*** 1. ანა ძაძამია (ფოთი), 2. მელიხა ტურამანი (თურ), 3. თეა მეგრელიშვილი (ქუთ), მელიკ აკსეხერი (თურ); ***16-17 წ:*** 1. ინგა ჩალაბიანი (თბ), 2. ელიფ ტურკოღლი (თურ), 3. ნათია მახათაძე (თბ), უმიხან აკსეხირი (თურ). ***უფროსები:*** 1. თამარ შიოშვილი (თბ), 2. მაია ცინარაძე, 3. ლალი ტაკიძე (ორივე — ბათუმი), აისე ტურკოღლი (თურ).

მ. ბოლქვაძე (ბათუმი).

მძლეოსნობა | საქართველოს ღია პირველობა

ყველა, ბათუმელთა და ხარაგოულელთა გარდა

ფეხბურთი, კარატე და მძლეოსნობა — აი, სპორტის ის სახეობები, რომლებიც დღეს ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ყველაზე მასობრივად ჩაითვალოს. ამას უმირველესად ასპარეზობათა სიმრავლე ადასტურებს.

ამ დღეებში თბილისმა მძლეოსანთა კიდევ ერთ ასპარეზობას უმასპინძლა. ეს იყო საქართველოს ღია პირველობა 1982-83 და 1984-86 წ. დაბადებულთათვის განცალკევებული პროგრამით ჯგუფებად. გამოძახებული 19 გუნდიდან (ხარჯები გაიღო განათლების სამინისტრომ), ორი აჭარისა და ხარაგოულის წარმომადგენლები შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ. ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება უფროსი ასაკის მძლეოსნებსაც მისცეს ორგანიზატორებმა. სულ კი სტარტზე 400-მდე სპორტსმენი გამოვიდა. მძლეოსნობის ფედერაციამ (ო. მდინარაძე) და განათლების სამინისტროს მძლეოსნობის სკოლამ (რ. ოდიშარია) საჩუქრები და პრიზები დაიწესეს რჩეულთათვის.

1982-83 წ. I ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა (1982-83 წ): 1. თბილისი — 149, 2. ქუთაისი — 132, 3. ბორჯომი — 84; ***II ჯგუფი:*** 1. ახმეტა — 80, 2. ზუგდიდი — 62, 3. ფოთი — 46; ***III ჯგუფი:*** 1. ხონი — 16, 2. ქარელი — 13; 3. მცხეთა — 10; ***1984-86 წ. I ჯგუფი:*** 1. თბილისი — 181,2. ოზურგეთი — 75,3. თბილისი (2) — 60, ***II ჯგუფი:*** 1. ჭიათურა — 66, 2. ფოთი — 65, 3. საგარეჯო — 59; ***III ჯგუფი:*** 1. მცხეთა — 62, 2. ქარელი — 21, 3. გორი — 10.

სპეციალური პრიზები დაიმსახურეს ქუთაისელმა გივი ჩიბურდანიძემ (ბირთვი — 16,70), ახმეტელმა მარინა ჯაჯემ (100 და 200 მ — შესაბამისად 12,7 და 27,4), თბილისელმა ზურაბ წერეთელმა (100 და 200 მ — შესაბამისად 11,9, 24,7), ასევე თბილისელმა იულია დუბინამ (200 და 400 მ — შესაბამისად. 26,0 და 58,5).

გამარჯვებულები: 1982-83 წ. 100 მ. ანდრო პოზიავალოვი (თბ.) 11,4 და ჯაჯე. ***200 მ:*** პოზიავალოვი — 23,5. ჯაჯე; ***400 მ:*** რომან მანუკიანი (თბ) — 53,2, ნინო ბურნაძე (ბორჯ.) — 1,02,4; ***800 მ:*** დადაშ კუხალაშვილი (თბ) — 2,03,6, ლიანა გაფრინდაული (ახმეტა) — 2,39,3; ***1500 მ:*** ალექსი ზაკომოლდინი — 4,23,8, ნანა კაპანაძე (ორივე — თბილისი) — 5,01,9; ***300 მ:*** ზაკომოლდინი — 9,36,6; ნანა გუთანაიძე (ახმეტა) — 11,01,3; ***თარჯრბენი 100 მ:*** ირაკლი გერგაია (ფოთი) — 16,1, ნატაშა კობერიძე (ჭიათ.) — 19,6; ***ხეგრძე:*** გივი ჩიბურდანიძე — 5,61, მარინა შულაია (ზუგ) — 4,77; ***ბირთვი:*** ჩიბურდანიძე, ქეთინო კოპალეიშვილი (ვანი) — 11,26 სმ; ხეგრძე: ჩიბურდანიძე — 5,61 სმ, შულაია — 4,77. ***1984-86 წ. დაბადებულები. 100 მ.*** წერეთელი, გვანცა ჯოჯუა (მცხეთა) — 13,1; ***200 მ:*** წერეთელი, დუბინა; ***400 მ:*** გოგა ჯიგალიანი (თბ) — 54,4, დუბინა, ***800 მ:*** ჯიგალიანი — 2,12,2, სოფიო გობოზოვა (ჭიათ.) — 2,25,5; 1500 მ: დავით გლაშვილი (საგარ.), გობოზოვა — 5,03,8; ***ხეგრძე:*** დავით პაპუაშვილი (თბ.) — 5,02 სმ, გვანცა ჯოჯუა, (მცხ.) — 4,93; ბირთვი: მამუკა ტულუში (ოზურ.) — 13,92 სმ, ნინო მელაძე (თბ) — 10.08. ***თარჯრბენი. 110 მ:*** დავით გვიჩია (ფოთი) — 16,0.

უამინდობის გამო არ ჩატარდა შეჯიბრებები შუბის ტყორცნაში, ბადროს ტყორცნაში და სიმაღლეზე ხტომაში.

ბ. ბაძრაძე

ეს იყო სპორტული ასპარეზობა, სადაც გამარჯვებული ყველა მონაწილეა, უპირველესად ესაა გამარჯვება საკუთარ თავზე, რომლის სიხარული თითოეულმა განიცადა. ისინი თბილისში შეიკრიბნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, იმ სპეციალური სასწავლებლებიდან, სადაც ისინი სწავლობენ (თბილისი, ბათუმი, ბოდბე, ახალციხე... სულ 18 გუნდი).

სპეციალური სპორტული ფესტივალი — ასე ერქვა ამ ღონისძიებას, რომელიც მთელ მსოფლიოში ტარდება საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით და ახლა ჩვენშიაც „აიდგა ფეხი“. ორგანიზატორები კი საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი, სეოკ-ი და საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია იყო.

მაგრამ ერთია შინაარსით ესოდენ საჭირო და აუცილებელი ფესტივალი, მეორე — მისი ჩატარების ორგანიზაცია. ეს ფუნქცია კი თავის თავზე აიღო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიამ (რექტორი ო. გოგიაშვილი, სპორტკლუბის თავმჯდომარე ჰ. ათაბეგოვი). აკადემიამ ბაზებიც დაუთმო და თავისი საუკეთესო სპეციალისტებისა და სტუდენტების დახმარებით ფესტივალი (მძლეოსნობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი) უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

(პირველი გვერდიდან)

(დღეს 26 კომისრების სახ. ბაღი), ღულაძისეულ მინდორზე (დღეს ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ძმათა სასაფლაო), თავადაზნაურთა გიმნაზიის (დღეს მე-2 საშ. სკოლა) ეზოში, ბალახვანსა და ოღასკურაზე.

1919 წელს ქუთაისში ტანვარჯიშის საზოგადოება „შევარდენთან“ შეიქმნა ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც საქალაქთაშორისო მატჩებს მართავდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაონულ ცენტრებში. ერთ-ერთი ასეთი მატჩი 1920 წლის 25 აპრილს ქუთაისის „შევარდენმა“ ჩაატარა ახალ სენაკში. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „შევარდენი“ წერდა: „შეჯიბრება დაიწყო 4 საათზე, სადგურთან ახლოს, მიქელაძის მშვენიერ ეზოში, მაგრამ შეჯიბრება ძალიან ცუდად ჩატარდა სხვადასხვა მიზეზების გამო.

უპირველესი მიზეზი იყო აუტანელი ქარი, რომელმაც იმ დღეებში სენაკში სახლებიც კი დაანგრია“.

1916 წ. ფეხბურთელთა გუნდი „თერგი“

მას შემდეგ, რაც საქართველოში 1922 წლის ნოემბერში გაუქმდა სპორტული საზოგადოებები „შევარდენი“, „სოკოლი“, „ამირანი“, „სკაუტი“ და სხვები, შეიქმნა ახალი საზოგადოება „სპარტაკი“. „სპარტაკთან“ იქმნებოდა ტანვარჯიშის, ჭიდაობის, ძძლეოსნობის, ველოსპორტის სექციები, ხოლო სულ მალე ფეხბურთელთა გუნდიც ჩამოყალიბდა.

1923 წლის 1 აგვისტოს ყოფილი რუბინის ქუჩის მოედანზე გაიმართა შეხვედრა ფეხბურთში „უმაღლეს დონეზე“ ქუთაისის „სპარტაკსა“ და წითელი არმიის საკავშირო გუნდს შორის. აღნიშნული მატჩის შესახებ გაზეთ „მუშა და გლეხში“ ვკითხულობთ:

„კვირას, 12 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათზე, ყოფილ რუბინის ქუჩის მოედანზე გაიმართა ფეხბურთელთა შეჯიბრი ქუთაისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა და წითელ არმიელთა საკავშირო ფეხბურთელთა გუნდებს შორის. შეჯიბრს სჯიდა „როტა სვიაზის“ მიერ მოწვეული მსაჯი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქუთაისის „სპარტაკის“ ფეხბურთელები იმყოფებიან ძალიან ცუდ პირობებში: მათ არ აქვთ სავარჯიშო ბურთი და ფეხსაცმელები, რის გამო მათ, თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში არ უვარჯიშნიათ სისტემატურად. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა „სპარტაკის“ გუნდი, შეჯიბრის დაწყებისთანავე იწყებს ენერგიულ შეტევას და ერთი წუთის განმავლობაში გააქვთ მოწინააღმდეგის კარებში ბურთი (ლელო). ამის შემდეგ „მიუდგომელი“ მსაჯი იწყებს „როტა სვიაზის“ გუნდის მიმხრობას და განგებ არ ამჩნევს ორ „პენდელს“, რითაც უფლებას არომევს „სპარტაკის“ გუნდს ორ თავისუფალ დარტყმისას მოწინააღმდეგის კარებში. ამის გამო „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ვ. ლეჟავა აჩერებს თამაშს, და ითხოვს მიუდგომელი მსაჯის მოწვევას. ნიშნავენ ორ მსაჯს: ერთს ერთის და მეორეს მეორე მხრიდგან, რომლებიც ერთმანეთს უწევდნენ კონტროლს, თუმცა ეს ქმნიდა უხერხულებას, მსაჯები ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ ამის შემდეგ, ერთი რომელიმე გუნდისადმი მიმხრობას ადგილი არ ქონდა, რაც უმთავრესია, ერთი შეჯიბრების დროს და ამიტომ ამის შემდეგ შეჯიბრი მიმდინარეობდა წესიერად.

ცოტა ხნის შემდეგ „როტა სვიაზის“ გუნდს გააქვს ბურთი მოწინააღმდეგის კარებში. რამდენიმე წუთის შემდეგ კი „როტა სვიაზის“ კართან ხდება პენდელი და „სპარტაკს“ გააქვს მეორე ბურთი. იწყება წვიმა და თამაშის ერთი ნახევარი მთავრდება. ხუთი წუთის დასვენების შემდეგ თამაში ისევ გრძელდება. წვიმა კი თანდათან მატულობს, მაგრამ შეჯიბრის წესების მიხედვით, უამინდობის გამო შეჯიბრის გადადება არ შეიძლება და ამიტომაც ფეხბურთელები განაგრძობენ თამაშს, თუმცა ნიადაგის სისველის გამო უძნელდებათ თამაში. ფეხი უცდებათ და ვარდებიან. წვიმა კი არ ცხრება და „სპარტაკის“ გუნდიც გადადის შეტევაზე და გააქვთ ზედიზედ ორი ლელო. ამის შემდეგ „როტა სვიაზის“ გუნდიც იკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს და მიაქვთ ბურთი „სპარტაკის“ კარებთან, მაგრამ აკეთებენ ზეცდენს (ე.ი. აცილებენ კარებს ზევით) რადგანაც კარები იყო ცუდათ მოწყობილი და ზედა საზღვარი არ ჩანდა, ამიტომ მსაჯებს მოუვიდათ ამის შესახებ უთანხმოება, მაგრამ ამაში ჩაერიენ თვით „სპარტაკის“ ფეხბურთელები და ჩაუთვალეს გატანილად. ამის საპასუხოთ, რადგან თამაშის დროც უკვე თავდებოდა, „სპარტაკის“ გუნდი თამაშობს უკანასკნელ ძალღონით და გააქვთ ორჯერ ლელო, ამასობაში თამაშის დროც გათავდა. გუნდები გამოემშვიდობენ ერთმანეთს წესისამებრ და დასველებულნი დაიშალნენ.

ამრიგად შეჯიბრი დასრულდა 6-2 „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის სასარგებლოდ ე.ი. „სპარტაკმა“ გაიტანა 6 და „როტა სვიაზმა“ კი 2“ (გაზ. „მუშა და გლეხი“, 1923 წ.)

ქუთაისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა პირველი კატეგორიის გუნდი „ბაში-აჩუკი“, რომელიც 1923 წლიდან ცნობილი რევოლუციონერის იოსებ ხარაბაძის სახელს ატარებდა. ამავე წელს შეიქმნა ახალი გუნდი „ყაზბეგის“ სახელწოდებით, ქალაქის სხვა ფეხბურთელთა გუნდებიდან აღსანიშნავია „ტრიუმფი“ – II და მესამე ინტერნაციონალის სახელობის გუნდები. ცოტა უფრო გვიან შეიქმნა „პროლეტარის“ და II 9-წლიანი შრომის სკოლის უჯრედის ფეხბურთელთა გუნდები.

1924 წელს ქუთაისში ჩატარდა პირველი საქალაქო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ტრიუმფის“, „პროფბიუროს“, ქართული ლეგიონის „კიმის“ ძლიერი გუნდები. პირველი ადგილი წილად ხვდა „ტრიუმფის“ ფეხბურთელებს.

1925 წელს ქუთაისის რკინიგზის კვანძის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდი „ლოკომოტივის“ სახელწოდებით.

1925 წლისთვის ქუთაისში ფეხბურთის ოცამდე გუნდი არსებობდა.

სამწუხაროდ, ქალაქში ფეხბურთის განვითარებას თან ახლდა მთელი რიგი შეცდომები. 1925 წელს გაზეთი „ფიზიკური კულტურა“ წერდა: „1924 წლამდე ფეხბურთი ქუთაისში თუმცა ძალიან გავრცელებული იყო, მაგრამ მას ჰქონდა დამანხიჯებული ხასიათი. ფეხბურთს არ ჰქონდა მუდმივი ადგილი წვრთნისათვის, არ ჰყავდა მწვრთნელები, არც იყო შესაფერი წეს-მორჩილება – გუნდებს შორის არ იყო კავშირი და ყოველი გუნდი თამაშობდა ისე, როგორც მას ეხერხებოდა. არ ხელმძღვანელობდნენ არავითარი წესებით და განრიგით. ასეთ პირობებში ფეხბურთი ქუთაისში არ იდგა სათანადო დონეზე.“

ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთავრობის 1925 წლის 22 სექტემბრის მიმართვას რესპუბლიკის ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასკომების ხელმძღვანელებისადმი. მასში აღნიშნულია ის შეცდომები, რასაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკაში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კერძოდ კი ცალკეული სპორტული სახეობების და მათ შორის ფეხბურთის განვითარებაში. მიმართვაში ვკითხულობთ: „ფიზკულტურის საბჭოების მოწყობა ცენტრალურ და სამაზრო აღმასკომებთან დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. საუბედუროდ მოწყობა ჯერ კიდევ ნორმალურ კალაპოტში არ ჩამდგარა. სხვა მიზეზთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის სამი გარემოება. პასუხისმგებელი ამხანაგების არასერიოზული მოპყრობა საქმისადმი, მათი უპასუხისმგებლობისა და პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის მუდმივებლობა.

არასერიოზული მოპყრობის ნიმუშია სხვათა შორის ის ფაქტი, რომ ზოგიერთ მაზრაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოართვა ფიზკულტურის საბჭოებს სავარჯიშო მოედნები და გადასცა გლეხებს დასამუშავებლად. ერთ-ერთ მაზრაში აღმასკომის თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა, რათა ფეხბურთელთა გუნდებში მოთამაშეები შემცირებულიყო 11 კაციდან 5 კაცამდე, რადგან შტატის შემცირება ყველგან მოხდაო. ეს არ იკმარა ამ მაზრამ და უკანასკნელი დარბაზიც კი ჩამოართვა ფიზკულტურის საბჭოს“ (ქცა, ფონდი 296).

(გაგრძელება იქნება)

ევროპის ჩემპიონატი 18 წლამდელთა შორის

შესარჩევი ციკლის პლეი-ოფი. განმეორებითი მატჩი

საქართველო–ჩეხეთი 2–1 (პირველი მატჩი 2–2)

გოლები: დიღმელაშვილი (17), ურბანეკი (29), გაგუა (78)

მაშ ასე, საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები ჩვენს სხვა ნაკრებთაგან მეორეა, ვინც შესარჩევ ციკლს თავი დააღწია და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს. პირველად კი ეს 16 წლამდელთა ნაკრებმა შეძლო 1996 წელს, რომელსაც მაშინაც რევაზ გაგუა წვრთნიდა. ახლა კი ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭებმაც იყოჩაღეს და ივლისში შვედეთს ესტუმრებიან ფინალური ეტაპის მატჩებისთვის, სადაც ევროპის მხოლოდ 8 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს.

ჩვენებმა ჩეხეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, საჯაია, დევიძე (ჯ. მუჯირი), მენთეშაშვილი, დიღმელაშვილი, გველესიანი, ნოზაძე (გაგუა), ჯაკობია, მიქაძე (იმედაძე).

ჯაკობია (მუქ მაისურში)



საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები ნორვეგიაში 28 მაისს თბილისის დროით 10 სთ-ზე გაემგზავრებიან. საქართველოსა და ნორვეგიის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მატჩი 30 მაისს, ოსლოს „ულევის“ სტადიონზე ნორვეგიის დროით 13 საათზე გაიმართება, ეროვნულ ნაკრებს შორის კი 19 სთ-სა და 15 წთ-ზე.

ნორვეგია-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს შოტლანდიელი მსაჯები იმსაჯებენ.

მთავარი მსაჯი – სტიუარტ დუგალი.

გვერდითი მსაჯები – ჯიმ დანი და ნილ ბრენდი

მე-4 მსაჯი – ჯონ ანდერჰილი

საქართველო-ნორვეგიის ეროვნულ ნაკრებების მატჩის მსაჯთა ბრიგადა უახლოეს დღეს გახდება ცნობილი.

სწორდით ხაზზე!

საქართველოს ეროვნული ნაკრები-ბ – დინამო-2 (თბილისი) 3–3

ნაკრები: ქორიძე (ლომაია, 58), ჭანყოტაძე, სიდამონიძე, შაყიაშვილი, დ. მუჯირი, ვ. გიგიაძე, თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი, ისიანი, გლუნჩაძე, შენგელია.

დინამო-2: მამალაძე, რუხაძე, კვარაცხელია, კანდელაკი, გოგიჩაიშვილი, ტუღუში, ჩომახიძე, წიტაიშვილი, ანჩაბაძე, ქებაძე (ლოლაძე, 65).

გოლები: შენგელია (12), ტუღუში (49), მუჯირი (57), ქებაძე (64), წიტაიშვილი (72, პენ.), ტუღუში (81).

მსაჯი: დავით სანაია (სოხუმი).

საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრები – დინამო (თბილისი) 3–5

ნაკრები: ლომაია (ჭანტურია, 28), ახვლედიანი, ნიკოლეიშვილი (საჯაია, 67). სიჭინავა, ჭიჭვეიშვილი, ტრაპაიძე, მ. აფციაური, მაისურაძე, ზირაქიშვილი, იმედაძე (ჭანტურიძე, 67), ხომერიკი (გოჩაშვილი, 46).

დინამო: გვარამაძე, მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, მაჭავარიანი, სახვაძე (თ. აფციაური, 84), კიკნაძე (გოცირიძე, 33), ალექსიძე, გუჩუა, აშვეთია (მელქაძე, 82), ჯინჭარაძე (ბურდული, 79).

გოლები: ხომერიკი (16, 32), ალექსიძე (30), კიკნაძე (44, 70, 84), ჯინჭარაძე (44), ჭანტურიძე (74).

გაგზავნილნი: გუჩუა.

გაძევებული: გუჩუა, აფციაური.

მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

კიკნაძე (მარცხნივ) და ალექსიძე

საქველმოქმედო მატჩები საქართველოში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელებით, უხვგოლიანობის, ლამაზგოლიანობის, ამხანაგურობის, კვიმატობისა და ძიძგილაობის გარდა კიდევ შეითავსებდა რაღაც-რაღაცეებს. პირველი შეხვედრა, რომელშიც დინამო-2 საქართველოს ბ ნაკრებად შერისხულ გუნდს დაუპირისპირდა, უფრო სადა გამოდგა. ნაკრებელები თავიდან გაცილებით უფრო მონდომებულად, მიზანდასახულად გამოიყურებოდნენ – იოჰან ბოსკამპი მათ ხომ ნაკლებად იცნობს და ბიჭებსაც ეტყობოდათ, რომ თავმომწონედ ყელყელაობას ლამობდნენ. დინამოელთაგან ორი მოთამაშის გარდა (მამალაძე, კანდელაკი), ყველას საკმარისი გამოცდილება ჰქონდა, ყველას კარგად იცნობს გულშემატკივარი და ამიტომაც მათგან უფრო მეტს მოელოდნენ. კარგად გამოიყურებოდა ტუღუში, ხოლო გოგიჩაიშვილი მხოლოდ ეპიზოდურად თუ გამოავლენდა თავის ავთენტიკურ, საფეხურთო იერს – ტუღუშის მეორე გოლი სწორედ მისი საფირმო გრღვეევის შემდეგ გავიდა. ერთფეროვნად, ერთი და იგივე ტაქტიკა – სტრატეგიით მოთამაშე გუნდების ორთაბრძოლა ულაზათო ნაღდად არ გამომდგარა, ტემპიც ნორმალური იყო, ბოსკამპის ხელიც იგრძნობოდა (თუმცა, ოთხივე ნაკრების ფორმალური მწვრთნელები სხვები იყვნენ) და მცირერიცხოვან მაყურებელსაც არ მოუწყენია.

მეორე მატჩი კი თავისთავად უფრო აქტუალური გახლდათ. ბოსკამპის სანაკრებო რჩეულებში ვიღაც-ვიღაცეების გვარებმა ცოტა არ იყოს გაკვირვება გამოიწვია, როგორც ჩანს, იოჰან ჯერჯერობით მთლად კარგად, ფრიადზე ვერ შეუსწავლია ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „დინამო“ არამარტო უცხოელი ფეხბურთელებით გაძლიერდება, რადგან აშკარაა, რომ ჩვენს ჰოლანდიელ თავკაცს ერთი-ორი აქაური მოთამაშეც მოუვიდა თვალში. ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრების არც თუ ისე ცუდი შანსი აქვს ზაზა ზირაქიშვილს – მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე მოთამაშეები ფაქტობრივად არ გვყავს, რადგან გოგიჩაიშვილი სათანადო ფორმაში ჯერჯერობით ვერ ჩადგა, ხოლო ვინც გუცაევმა გამოსცადა, ვერცერთმა ვერ გაამართლა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში მარჯვენა ხავბეკად გაითქვა სახელი აჩიკო არველაძეა...

ჩაგვაფიქრა ხომერიკის გამოცვლამ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოსკამპმა პირველ ტაიმშივე სათანადოდ გაშიფრა ის. მატჩის დებიუტში ურიგოდ არ გამოიყურებოდა სიჭინავა, აღსანიშნავია ტრაპაიძის აქტიურობაც, მაგრამ როგორც კი „დინამომ“ თავისი ძალა წარმოაჩინა მინდვრის ცენტრში, გამოჩნდა, რომ ქართული კლუბებით დაკომპლექტებული ეროვნული ნაკრები განწირული იყო დამარცხებისთვის. „დინამომ“ ფლანგებზეც გაილაღა, გამოაშკარავდა უპირატესობა სისწრაფესა და გამძლეობაში. არჩილ სახვაძე მარცხენა ფლანგზე ხშირად და მეტად პროდუქტიულად ერთვებოდა შეტევებში, მარჯვნიდან ჯინჭარაძე აწუხებდა მეტოქეს. ცალკე საუბრის თემაა რატი ალექსიძე. მან ჯერ კიდევ საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებში გამოაჩინა თავისი ძალა, როგორც ფორვარდმა. „ჩელსიში“ სტაჟირებაზე ყოფნისასაც თავდამსხმელობდა, მაგრამ „დინამოში“ დაბრუნების შემდეგ, ხან მარცხენა, ზოგჯერ კი მარჯვენა ნახევარმცველად უხდებოდა თამაში. მიუხედავად ამისა, რატი ბოლო დროს მართლაც და საუკეთესოა „დინამოში“, მისი თამაშის აგრესიული მანერა ქების გარდა, არაფერს იმსახურებს. ამ კონკრეტულმა მატჩმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ რატის სტიქია თავდამსხმელობაა, ასეთი ფეხბურთელი მხოლოდ თავს უნდა ესხმოდეს მეტოქის დაცვასა და მეკარეს, არა აქვს მნიშვნელობა მინდვრის სიღრმიდან, თუ მხოლოდ საჯარიმო მოედნიდან.

არც გიორგი კიკნაძეზე ვიქნებით ძუნწი. მას ნაღდად შეუძლია ეროვნულ ნაკრებში მძაფრი კონკურენცია გაუწიოს უფრო სახელოვან საყრდენებსა თუ ფლეიმეიკერებს. ჩვეული შეუპოვრობით ირჯებოდა ვალტერი გუჩუა, რომლის ბრძოლისუნარიანობა კი თრგუნავს მეტოქეს, მაგრამ უხეშობას ყველა როდი მოითმენს. ჰოდა, მამუკა აფციაურმაც არ იგუა „გუჩუას“ გადამეტებული ენთუზიაზმი, რისთვისაც ვალტერთან ერთად მინდვრიდან მიაბრძანეს.

... ულიბეროდ თამაში, ზონური დაცვა, მცველთა ხაზზე განლაგება – სინონიმები ამ მოდურ ტაქტიკას არ აკლია, მას აკლია შემსრულებლები, ანუ მაღალი კლასის მცველები, რითაც ძალიან ღარიბნი ვართ. მაგრამ ბოსკამპი, რომელმაც ოთხივე გუნდი ასე ათამაშა, ძნელად დასაჯერებელია, რომ ევრო-2000-ის მატჩებზეც ამაზე უარს იტყვის.

გამოდგება თუ არა კვლავ ავანტიურად საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაში, ამჯერად გასვლაზე ნორვეგიელებთან, დრო გვიჩვენებს. მანამდე კი რა დაგვრჩენია, იოჰან ბოსკამპის მოწოდებას უნდა დავემორჩილოთ – სწორდით ხაზზე!

დავით ოთხოზორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

გარბის „განწირული ხომალდიდან“

როგორც ცნობილმა ავსტრიელმა თავდამსხმელმა ტონი პოლსტერმა განაცხადა, სეზონის დამთავრების შემდეგ იგი დატოვებს მენხენგლადბახის „ბორუსიას“.

— რაინერ ბონჰოფთან ისეთი ცუდი ურთიერთობა მაქვს, რომ მასთან შემდგომი ერთობლივი მუშაობა შეუძლებლად მიმაჩნია.

საინტერესოა, რომ პოლსტერი „ბორუსიაში“ „კიოლნიდან“ გადავიდა, რომელმაც მაშინ ბუნდესლიგა დატოვა. ახლა კი ბუნდესლიგას უკვე მენხენგლადბახის „ბორუსია“ ტოვებს.

როცა ფული არა გაქვს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბ „სანკტ პაულის“ (ჰამბურგი) არ მისცეს მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. „სანკტ პაულის“ სპორტული თვალსაზრისით ცუდი შედეგები არა ჰქონია, მაგრამ ახლა სათანადო ფინანსური გარანტიები ვერ წარადგინა. მართალია, ჰამბურგელებმა აპელაცია შეიტანეს და იმედი აქვთ, რომ საკითხი მათ სასარგებლოდ გადწყდება.

ამას მწვრთნელების „ოთურმა“ ჰქვია

მაინის ფრანკფურტის „აინტრაქტში“ კიდევ ერთხელ შეიცვალა მწვრთნელი. რაინჰოლდ ფინცის ნაცვლად მუშაობა დაიწყო იორგ ბერგერმა, ფინცმა კი დეკემბერში შეცვალა ერნესტ ერმანტრაუტი, რომელმაც ფრანკფურტელები ბუნდესლიგაში დააბრუნა.

„ფენომენს არ ვგულისხმობ“

მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰაინესმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ახალი სეზონიდან გუნდი შესამჩნევად გადახალისდება და ძირითადად ახალგაზრდებით შეივსება.

— ახალგაზრდების მოზიდვა იმაშიც შეგვიწყობს ხელს, რომ ვეტერანები ვაიძულოთ მეტი ირბინონ. ზოგიერთ მათგანს ხომ აშკარად ზედმეტი წონა აქვს.

როცა გუნდის გადახალისებაზეა ლაპარაკი, ეს არ ეხება 38 წლის ლოთარ მათეუსს.

— მათეუსი ფენომენია და ახლა სულ უფრო და უფრო უკეთესად თამაშობს.

ბერხკამპს ძალიან აფასებენ

როგორც დენის ბერხკამპმა განაცხადა, იგი ლონდონის „არსენალში“ აპირებს კარიერის დამთავრებას. მისი კონტრაქტი ორი წლის შემდეგ დამთავრდება, მაგრამ უკვე ლაპარაკია ახალ ხელშეკრულებაზე, თუმცა მისი პირობები საიდუმლოდ რჩება. ცნობილია მხოლოდ ერთი რამ — ახალი კონტრაქტი ოთხწლიანი იქნება და ფეხბურთელი კვირაში 45 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

ადრე ბერხკამპი უარს აცხადებდა ახლანდელი კონტრაქტის ვადის გასვლამდე ახალ პირობებზე ელაპარაკა, მაგრამ „არსენალის“ მწვრთნელმა, ფრანგმა არსენ ვენგერმა, 29 წლის ჰოლანდიელი სადმე სხვაგან რომ არ გადასულიყო, მას უკეთესი გასამრჯელო შესთავაზა. ვენგერს ეშინოდა, რომ ბერხკამპს ან მადრიდის „რეალი“ გადაიბირებდა, ან „ბარსელონა“.

ამის გამო იყო, რომ ბერხკამპმა ჟურნალისტებს უთხრა: „აზრადაც არ მომსვლია „არსენალის“ დატოვება. არ ვმალავ, რომ ამ გუნდში სიამოვნებით ვთამაშობ. არსად ფეხბურთისაგან ისე სიამოვნება არ მიმიღია, როგორც ახლა. მინდა ფეხბურთს ბედნიერად სწორედ ლონდონში, „არსენალში“ გამოვეთხოვო“.

სითქენ გაეშურებიან კიეველები?

ასეთი კითხვა დაუსვეს ჟურნალისტებმა კიევის „დინამოს“ პრეზიდენტ გრიგორი სურკისს.

სურკისის სიტყვით, ახლა უცხოეთში გადასვლაზე რამდენიმე მოთამაშეზეა ლაპარაკი. „მილანს“ შევჩენკოს შეძენა სურს და წინასწარი მოლაპარაკება უკვე გაიმართა. რამდენიმე ინგლისური კლუბი ცდილობს რებროვის, ლუჟნისა და გოლოვკოს ყიდვას. გამოჩნდა ცნობა, რომ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ თანახმაა 7 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინოს რებროვი. ლუჟნიმ ამ რამდენიმე თვის წინათ არ მოინდომა ლისაბონის „ბენფიკაში“ გადასვლა. სურკისის აზრით, მას ჯერ კიდევ დიდი სათამაშო პოტენციალი აქვს და კარგი იქნებოდა, ორიოდე სეზონი კვლავ კიევში დარჩენილიყო, მაგრამ ლუჟნის ძალით დაკავების უფლება არავის აქვს. რაც შეეხება სხვა მოთამაშეებს, მათზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. ყველა საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვა კი უაზრობა იქნებოდა. ამავე დროს პრეზიდენტმა თქვა, რომ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ რუსეთიდან მოწვეული ლეგიონერები იაშკინი, კორმილცევი და სერებრენიკოვი.

„ნიუკასლი“ არ გაიყიდება

საკაბელო კომპანიამ „ენ-ტი-ელმა“ უარი განაცხადა იყიდოს „ნიუკასლ იუნაიტედი“. ასეთი განცხადება გააკეთა კომპანიის დირექტორ-განმკარგულებელმა ჯეფრი ჰამილტონ-ფეირლიმ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ანტიმონოპოლურმა კომიტეტმა არ დაამტკიცა ანალოგიური გარიგება კომპანია „ბი-სკაი-ბისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის.

რაც არ უნდა ცვალონ...

ოქტომბერში კორსიკულმა კლუბმა „ბასტიამ“ გაანთავისუფლა მთავარი მწვრთნელი ჰენრიკ კასპერჩაკი და მის ნაცვლად ლორან ფურნიე მიიწვია. ამან საქმეს ვერ უშველა. ახლა ფურნიეც მოხსნეს და მის ნაცვლად ერთბაშად ორი მთავარი მწვრთნელი დანიშნეს — ფურნიეს ყოფილი ასისტენტები ჟან-მარი ზერბი და ჟოზე პასკუალეტი. ფურნიე კი მერვე მწვრთნელი გახდა, რომელსაც ამ სეზონში საფრანგეთის ელიტურ დივიზიონში სამუშაო დაატოვებინეს.

ნიგერიის უარის შემდეგ...

როგორც გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, მისი ქვეყნის შანსები ჩაატაროს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი, გაიზარდა მას შემდეგ, რაც თავისი კანდიდატურა ნიგერიამ მოხსნა. ახლა რჩება 5 პრეტენდენტი: ბრაზილია, გერმანია, ინგლისი, მაროკო და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

ნაციონალისტურად განწყობილი გულშემატკივრები

ლისაბონში გამართულ პრესკონფერენციაზე „ბენფიკას“ პრეზიდენტმა ჟოაო ვალე ე აზევედუმ განაცხადა, რომ მწვრთნელ სუნესის მოხსნა ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების დიდი ზეწოლის გამო მოხდა, რომელსაც ბრალად დაედო მეტისმეტი სიმპათია ინგლისელი ფეხბურთელების და ინგლისური ფეხბურთის მიმართ. ნაციონალისტურად განწყობილმა გულშემატკივრებმა „ბენფიკას“ გარშემო აუტანელი ვითარება შექმნეს. პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მთელი რიგი მატჩების მსჯობა, უბრალოდ რომ ვთქვათ, საშინელი იყო.

ახლა „ბენფიკაში“ გერმანელი იუპ ჰაინკესი იწყებს მუშაობას. აზევედუ დაჰპირდა ახალ მწვრთნელს, რომ იმ დიდი ვალის მიუხედავად, რომელიც კლუბს აქვს, მაინც გამოინახება თანხა ახალი მოთამაშეების შესაძენად. აქ კი ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ იგივე სუნესსაც დაჰპირდნენ, მაგრამ არაფერი არ შეუსრულეს.

„ოსგაგურად“ შედგენილი კალენდარი

რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

რუსეთის წლევანდელი ჩემპიონატის კალენდარი რომ გამოქვეყნდა, ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმაც ყურადღება მიაქციეს ერთ გარემოებას. მოსკოვის „სპარტაკს“ მაისის შუა რიცხვებში სხვებთან შედარებით 3 მატჩით მეტი ექნებოდა ჩატარებული. რა ვუყოთ, რომ ეს კალენდარში ყველაფერს აურ-დაურევდა, არაერთ უხერხულობას შექმნიდა. სამაგიეროდ, როცა ჩემპიონთა ლიგის გათამაშება დაიწყება, „სპარტაკს“ დასვენებისა და მზადების გაცილებით უკეთესი პირობები ექნება. დიახ, მაგრამ ევროპულ ტურნირებში ხომ რუსეთის სხვა კლუბებიც მონაწილეობენ. ყველა გუნდს ხომ ნებისმიერ შეჯიბრებაში ერთნაირი პირობები უნდა ჰქონდეს. ასე დაიწყო რუსულ პრესაში დიდი კამათი, თუმცა ამას ფედერაციის მესვეურები, ცხადია, ყურადღებას არ აქცევენ.

ისიც ვთქვათ, რომ დღევანდელი (ისევე, როგორც შარშანდელი) „სპარტაკი“ აღემატება მეტოქეებს, შემადგენლობაც მნიშვნელოვნად გააძლიერა და მატჩს მატჩზე იგებს. ახლა მწვრთნელ რომანცევს მხოლოდ ერთი გარემოება აღელვებს: მეტად არასაიმედოდ (და სახიფათოდ!) თამაშობს მეკარე ფილიმონოვი, რომელსაც ადრე ვერაფრით დაემდურებოდი. საქმე ის არის, რომ ფილიმონოვი ძალიან ხშირად გამოდის კარიდან და პირდაპირ... თავს ესხმის თავდამსხმელებს.

რომანცევი: მას რამდენჯერმე ვუთხარი ამის შესახებ. პირველი ასეთი ეპიზოდი ერევანში მოხდა, სომხეთის ნაკრებთან, როცა ანგარიში იყო 0-0, შემდეგ კი მოსკოვში „ტორპედოსთან“ შეხვედრაში. ვფიქრობ, ფილიმონოვს თავის შესაძლებლობებზე, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს. ეს პირდაპირ ვუთხარი კიდეც. თუ ფილიმონოვი შემდეგაც ასე მოიქცა, გულშემატკივრებსაც და პარტნიორებსაც ნერვები აუშალა, მაშინ ნაკრებშიც დაკარგავს ადგილს და „სპარტაკშიც“. მეკარეს არა აქვს ასეთი თამაშის უფლება. ერევანში გადავრჩით, შეეძლოთ ფილიმონოვი მინდვრიდან გაეძევებინათ. აი, „ტორპედოსთან“ კი ვეღარ გადავრჩით.

ახლა „სპარტაკს“ 9 მატჩიდან 8 მოგება აქვს და 24 ქულით ლიდერობს, მომმზადველები ბევრს დავობენ, ვინ შეიძლება გახდეს შემდეგში მისი მთავარი კონკურენტი. 16 ქულით მეორეა მოსკოვის „დინამო“. მან ექვსი მატჩი ჩაატარა, 5 მოიგო და მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ. ეს ერთადერთი დანაკარგი (3-3) „დინამოს“ სტუმრად რამენსკოეს „სატურნთან“ ჰქონდა. მწვრთნელი იარცევი, ცხადია, კმაყოფილია ახლანდელი შედეგებით, მით უმეტეს, რომ, მისი სიტყვით, სამი ძირითადი მცველი: ტემრიუკოვი, შტანიუკი და ნეკრასოვი ახლა საწვრთნელ ბაზაზე კი არა, საავადმყოფოში იმყოფება. მეკარე პლოტნიკოვი დასაწყისში ძალიან საიმედოდ თამაშობდა, მაგრამ რამენსკოეში „კარში სამჯერ დაურტყეს, სამი გოლი გაუტანეს, რაზეა აქ ლაპარაკი“. იარცევს ახლა რადიმოვის დიდი იმედი აქვს. იგი მინდორზე დიდ სამუშაოს ასრულებს. „თუკი ვლადისლავი შემდეგშიც ასე ითამაშებს და იმ მომენტებს გამოიყენებს, რომლებიც ექმნება, მაშინ ეს ის რადიმოვი იქნება, რომელიც ადრე დაგვამახსოვრდა“. იარცევი მეტს მოითხოვს რომაშჩენკო-ტერეხინის წყვილისაგან, განსაკუთრებით ამ უკანასკნელისაგან, რომლის თამაშშიც ახლა, მწვრთნელის აზრით, ერთგვარი კრიზისი შეიმჩნევა.

14 ქულით მესამე ადგილზე მოსკოვის „ტორპედოა“, რომელიც მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს. სწორედ „ტორპედოსთან“ მოიპოვა თავისი პირველი ქულა ელისტის „ურალანმა“, რომელსაც მანამდე ზედიზედ 5 წაგება ჰქონდა. საერთოდ კი, ექსპერტების აზრით, მწვრთნელი შევჩენკო ძალიან კარგად მუშაობს. ადრინდელი შემადგენლობიდან წლეულს თითქმის აღარავინ დარჩა. გამოჭყოფენ უკრაინელ ლეგიონერ სკაჩენკოს, რომელიც გუნდის ღირსეული ლიდერია და გოლებიც გააქვს. სუსტი სტარტის შემდეგ თანდათანობით გამოასწორა მდგომარეობა ვლადიკავკაზის „ალანიამ“. გოლების გატანა დაიწყო გიორგი დემეტრაძემ, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ თუ ბრაზილიელ ჯეფერსონთან არა, ინდივიდუალურად რომ მოქმედებს და თანაც ვერაფერს აღწევს, მეორე ყოფილ თბილისელ თედეევთან არის კარგად შეთამაშებული.

ვინ თამაშობს ჯერჯერობით ყველაზე უფერულად? ერთია უკვე ნახსენები „ურალანი“, სადაც დაბრუნებულ უკრაინელ სპეციალისტ პაველ იაკოვენკოს არაფერი გამოუდის. მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაშია სოჭის „უემჩუჟინაც“, რომელმაც უკვე 5 შეხვედრა წააგო და მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ. ამ ორ, ჯერჯერობით უიმედო აუტსაიდერს რამდენადმე დასცილდა სამარის „კრილია სოვეტოვი“ (4 ქულა), რომლის მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი კარგა ხანს ავად იყო.

მორიგი მეშვიდე (ვისთვის — მეათე!) ტური ხვალ გაიმართება. „სპარტაკს“ მძიმე მატჩი ელის ვოლგოგრადში „როტორთან“. მოსკოვის „დინამო“ „უემჩუჟინას“ მიიღებს, „ტორპედო“ კი — „შინიკს“.

გაცვლიან?

როგორც მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა, მოლაპარაკება აქვს მილანის „ინტერთან“ რონალდოს ყიდვის შესახებ. თუ მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმდებიან, მაშინ სანს განზრახული აქვს იტალიელებს შესთავაზოს „სთადარიგო ვარიანტი“: რონალდოს ნაცვლად დაუთმოს კლარენს ზეედორფი და რობერტო კარლოსი.

ზიდანი აგვისტომდე ვერ ითამაშებს

გუშინწინ სტრასბურში (საფრანგეთი) რთული ოპერაცია გაუკეთეს ზინედინ ზიდანს, რომელიც აგვისტომდე ვერც „იუვენტუსსა“ და ვერც საფრანგეთის ნაკრებში ვერ ითამაშებს.

ზიდანს „იუვენტუსთან“ ხელშეკრულება 2004 წლამდე აქვს, კლუბი ცდილობს მის შენარჩუნებას, მაგრამ განთქმულ ფეხბურთელს მრავალი მყიდველი გამოუჩნდა. პირველ რიგში კვლავინდებურად ასახელებენ მადრიდის „რეალსა“ და „ატლეტიკოს“.

ამ საკითხზე თავისი აზრი გამოთქვა „იუვენტუსის“ მეპატრონე ჯოვანი ანიელომ. მან განაცხადა, რომ არ უნდა დაკარგოს ზიდანი, მაგრამ მის წასვლას, ალბათ, ვერ შეუშლის ხელს.

— ზიდანს ნოსტალგიის გრძნობა არა აქვს, მაგრამ თავის ცოლზეა დამოკიდებული (იგი ესპანელია). მე ვკითხე ვინ არის თქვენთან ოჯახში მთავარი? მან ასე მიპასუხა — ცოლი, რადგანაც იგი ჩემი შვილების დედაა.

ერთი სიტყვით, კამათი გრძელდება, მაგრამ ჯერ ზიდანმა ოპერაციის შედეგები უნდა დაძლიოს.

„პარმა“ – გზა მაღალი საზოგადოებისაკენ!

უეფას თასის ფინალი

UEFA CUP

პარმა (იტალია) – ოლიმპიკი (საფრანგეთი) 3-0

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ვანოლი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ფუზერი, ვერონი (ფიორე), კიეზა (ბალბო), კრესპო (ასპრილია).
„ოლიმპიკი“: პორატო, ბლონდო, ბლანი, დომორო, ედსონი (კამარა), ისა, ბრანდო, ბრავო, გურვენკი, პირესი, მორისი.
გოლები: კრესპო (26), ვანოლი (36), კიეზა (55).

...„მილანი“, „ინტერი“, იუვენტუსი“, „რომა“, „ლაციო“, „ფიორენტინა“ – ამ იტალიური გრანდების წარმატებები (თან – არაერთი) საერთაშორისო ასპარეზზე არც ადრე და არც ახლა აღარავის უკვირს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზემოთ ჩამოთვლილ კლუბებს ასწლოვანი ისტორია აქვთ და ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ევროპის უმდიდრეს გუნდებს განეკუთვნებიან. პიონატში საპრიზო ადგილებს ხომ გაუშინაურდნენ; იტალიის თასი ხომ აიღეს, უეფას თასის ფინალში ხომ ითამაშეს, და ამასაც არ დასჯერდნენ – ჯერ თასების მფლობელთა თასი მოიპოვეს, შემდეგ სუპერ-თასი!

აი, ასე იქცა ერთ დროს პროვინციული გუნდი იტალიური საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდად და ამტომაც მის გულშემატკივრებს, რომ იტყვიან, მადა გაეხსნათ. ყველაზე მთავარ მიღწევად იტალიაში „სკუდეტოს“ (ჩემპიონატში გამარჯვებას) მოპოვებას მიიჩნევენ და აი, სწორედ ეს ტიტული აკლია დღესდღეობით პარმას. ისე, წლევანდელი სეზონი მართლაც ფანტასტიური გამოუვიდათ – თუ სასწაულმა არ შეუშალა ხელი „პარმა“ მომავალ წელს, ალბათ, ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს; წინა კვირაში იტალიის თასი მოიპოვა, ხოლო ოთხშაბათს კი უეფას თასიც! ისე, „პარმას“ თავკაც, ალესანდრო მალესანის სამომავლოდ უკვე ნადდად მოეთხოვება „სკუდეტოსათვის“ ბრძოლა – ასეთი შემადგენლობით

ქრესპო – გოლი!

მართლაც ბევრი ევროპის გრანდი ვერ დაიკვეხნის: ჯან-ლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, დინო ბაჯო და ენრიკო კიეზა იტალიის ნაკრებში სტატისტებად სულ არ არიან; მარიო სტანიჩი ხორვატიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია; ლილიან ტურამი და ალენ ბოგოსიანი შარშან მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში; ჭირვეული, მაგრამ დიდი ტალანტის მქონე ფაუსტინო ასპრილიას გარეშე კოლუმბიის ნაკრები ხომ წარმოუდგენელია; დაბოლოს, – არგენტინელთა მართლაც მრისხანე კვარტეტი – ნესტორ სენსინი, ხუან-სებასტიან ვერონი, ერნან კრესპო და აბელ ბალბო... მოკლედ, გუნდია!

... „ლუჭნიკების“ ცნობილ სტადიონზე გამართულ უეფას თასის ფინალში, ფაქტობრივად, ერთი გუნდი თამაშობდა – იმდენად დიდი იყო „პარმას“ უპირატესობა „მარსელთან“. კი, შეიძლება, ვინმე შემოგვედავოს, რომ ფრანგების დამარცხების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ფაბრიციო რავანელისა და კრისტოფ დიუგარის არყოფნა იყოვო. მაგრამ, ვეჭვობთ, რომც ეთამაშა ამ ორ არცთუ ურიგო ფორვარდს, რაიმე შეიცვლებოდა. ფაქტი ერთია – უეფას თასი წლევანდელი გათამაშების ყველაზე ღირსეულს ხვდა წილად!

მიმომხილველი

ფოტოები მოგვაწოდა ირაკლი გოლჭვაძემ და დათო ხეჩუაშვილმა.

ამურული მოზაიკა

ვიოლინო და... ბოლიდი

ჟაკ ვილნევი, მსოფლიო 1997 წლის ჩემპიონი ფორმულა-1-ში, თავისი ორიგინალური, არაორდინარული და მოულოდნელობებით აღსავსე გამოხდომებით იქამდე მივიდა, რომ მის ჰომოსექსუალურობასაც კი ვარაუდობდნენ, ასეთი ეჭვები მაშინ აღმოცენდა, როცა ჟაკი მეგობარმა გოგონამ მიატოვა შარშანდელ იანვარში და ავტომრბოლი მთელი ხუთი თვე დაკოდილივით ცხოვრობდა – არც მეგობარი გოგონა, არც მეუღლე, არც მეძავები. თუმცა, მერე მთვლემარე ლომი გამოფხიზლდა და ერთი მეორეზე იცვლიდა „გ[illegible]რფრენდებს“ – რა თქმა უნდა, ყველაზე გახმაურებული რომანი ვილნევს მარტინა ჰინგისთან ჰქონდა, მაგრამ ჩოგბურთელის დედამ მყისვე ამოიცნო ჟაკის ქარაფშუტა ხასიათი და მარტინაც განარიდა კანადელ მრბოლს.

ჟაკს კი ახალი სიყვარული შემოდგომაზე გაუღვივდა, თანაც დასავლეთელებისთვის საკმაოდ ეგზოტიკურიც – კანადელის რჩეულად ვიწროთვალება ჩინელი ქალიშვილი შეიქნა. ვილნევმა ის იაპონიაში ყოფნისას (იაპონიის „გრან-პრის“ წინა ეტაპის დღეებში), სასტუმროს აუზის ბორტზე შეამჩნია და მოურიდებლადაც მიეჭრა მას, მაგრამ ქალიშვილის დაცვამ კანადელს გზა გადაუღობა და მხოლოდ მაშინ მისცა გოგონასთან გაბაასების საშუალება, როცა ჟაკის ვინაობა გაცხადდა. ხოლო მომხიბლავი ვიწროთვალება ჩინელი კი ცნობილი მევიოლინე ვანესა მეი აღმოჩნდა, რომლის ბოლო კომპაქტ-დისკები („შტორმი“) მილიონობით იყიდება. ვილნევმა მევიოლინე რბოლაზე მიიპატიჟა, თუმცა თვითონ იქ ვერაფრით გამოიჩინა თავი. მაგრამ თავისებური იუმორითა და ღია, გახსნილი ხასიათით იაპონელის გული მალე მოინადირა. შემდეგ ჟაკმა ჟურნალისტებსაც გაუმხილა, რომ პირველი მამაკაცი შეიქნა ვანესა მეისთვის.

მონიკა სელეში

მათი რომანი დღემდე გრძელდება, ოღონდ ახალ, ასე ვთქვათ ტრადიციულ ფორმას არ იღებს, ყველაფერი საკმაოდ ორდინარულად ხდება, თუმცა ვილნევი სიახლესაც გვპირდება: „გადავწყვიტე მას ცოლობა ვთხოვო, ოღონდ ამას მაშინ გავაკეთებ, როცა კვლავ მექნება გამარჯვებები რბოლებში“.

...თუ ფორმულა-1“-ის წლევანდელ ეტაპებს გადავხედავთ, ვანესა მეის დიდხანს მოუწევს ცდა.

ექსპირველი და მილიარდერი


ჟაკ ვილნევი

პოლ ალენი სიმდიდრით მსოფლიოში მესამე ადამიანია. მისი უძრავ-მოძრავი ქონება 29 მილიარდით არის შეფასებული. ეს 45 წლის ამერიკელი ბურჟუა უსაშველოდ მაშინ გამდიდრდა, როცა შეიქმნა კომპიუტერული პროგრამა „Windows“. ექსპირველი ჩოგანი მონიკა სელეში პოლმა შვიდი წლის წინათ გაიცნო ერთ-ერთ საქველმოქმედო მიღებაზე. მილიარდერმა მონიკასგან საჩოგბურთო გაკვეთილების ჩატარება განიზრახა, არადა პოლ ალენი სტუდენტობისას უნივერსიტეტის პირველ ჩოგნად იყო შერაცხული. 8 გაკვეთილის შემდეგ პოლმა გულუხვად გადაუხადა ჰონორარი მონიკას და 29000 დოლარის ღირებულების ბრილიანტებიანი საათიც უფეშქაშა.

მათი რომანი ჟურნალისტებმა 1996 წელს გაშიფრეს, როცა ისინი ნიუ-იორკის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში „დაწვეს“. მეორე დღეს პოლის და მონიკას ფოტოები მთელ ქვეყანას მოედო, მაგრამ შემდეგ რომანმა თითქოსდა იატაკქვეშეთში გადაინაცვლა – დახელოვნებული პაპარაცები ვეღარ „ჰოულობდნენ“ მიჯნურთ. წლეულს კი როგორც იქნა ყინული დაიძრა, რადგან ცნობილი გახდა, რომ პოლმა ახლადშეძენილ საკუთარ თვითმფრინავს ჩოგბურთელის საპატივცემულოდ „Super Mo“ დაარქვა. ჟურნალისტებმა ისიც შეიტყვეს, რომ მილიარდერმა ჩოგბურთელს ცოლობა სთხოვა, რაზეც მონიკას ქვა აუგდია და თავი შეუშვერია. თუმცა მალე მოლბა და პოლი იმით დაიმედა, რომ პასუხს წელიწადნახევრის შემდეგ გეტყვიო. ალენი ასეთ პირობას არ დათანხმებულა, სელეშს მოსაფიქრებლად წლეულის შემოდგომამდე მისცა ვადა და თან თავისი „მოთხოვნებიც“ გააცნო – ან ჩოგბურთელობა ან მოსაწყენი ოჯახური ცხოვრება მილიარდერთან.

ქაჩალი და მის მიერ გასულელებული

საფრანგეთის ეროვნული გუნდის მეკარე ფაბიენ ბარტეზი მსოფლიო ჩემპიონატამდე განთქმული იყო „ცულლუტობებით“. მისი დემონური გამოხედვა ფრანგ თუ არაფრანგ ქალებში, ძვალსა და რბილში ატანდა, ქაჩალ ფაბიენს ნამდვილი მექალთანეს იმიჯი ჰქონდა შექმნილი და რაღა თქმა უნდა, არა დაუმსახურებლად. მან თვით მონაკოს პრინცესას, სტეფანიასაც კი „გამოჰკრა ხელი“ და როცა მონარქის ქალიშვილს პირმშო შეეძინა, ბარტეზს სისხლის ანალიზის აღებაც მოუხდა, რათა საეჭვო პატივი არ ხვდომოდა წილად.

France-98-ის დამთავრების შემდეგ, ფრანგი ქალბატონების გამოკითხვით დადასტურდა, რომ ქვეყნის სუსტი სქესის წარმომადგენლების 50 პროცენტზე მეტი ფაბიენ ბარტეზს მიიჩნევს ეროვნული გუნდის ყველაზე სათნო და მომხიბლავ მამაკაცად. მაგრამ მეკარემ გააწბილა თანამემამულენი – მეგობარ გოგონად კანადელი ტოპმოდელი ლინდა ევანგელისტა აირჩია.

ფაბიენმა ლინდა ერთ-ერთ დამის ბარში გაიცნო. ერთმანეთისადმი ლტოლვა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ რომანი რამდენიმე დღეში გაიჩარხა. 27 წლის ფეხბურთელი და 33 წლის მანეკენი არ მორცხვობდა თავიანთი გრძნობებისდა გამო, რასაც მეტად გულახდილად, თვალსაჩინოდ გამოხატავდნენ პაპარაცებთანაც და საერთოდ ყველგან.

ფაბიენ ბარტეზი

ერთი თვის წინ შეყვარებულმა წყვილმა გაცნობის 250-ე დღე იზეიმეს, რომლის აღსანიშნავად თავისებური მინი მეჯლისიც კი მოაწყვეს. ონავარი ფაბიენი კოცნიდა, ეალერსებოდა თავის რჩეულს, ხან ოხუნჯურად აჯავრებდა, ხან კუდრაჭას და ცუნცულას ეძახდა, ხან კი პუტკუნას (!)... გარდა იმისა, რომ ლინდა ფაბიენის გამო მეუღლეს გაშორდა, მან წონაში 8 კილოგრამიც მოიმატა მას შემდეგ, რაც ბარტეზს გაუმიჯნურდა. მართლაც და ჩაპუტკუნებულ ლინდას საპოდიუმო კონტრაქტებიც კი შეუჩერეს – უქმროდ, უმუშევრად დარჩენილი ექს-მოდელი ფაბიენისამარადა დარჩა, რასაც არც ნანობს.

ფიფა გაფრთხილებთ!

ფიფას საპრეზიდენტო არჩევნების გამო წამოჭრილ მითქმა-მოთქმასთან დაკავშირებით ფიფამ ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, თითქოს იოზეფ ბლატერი არჩეულია ხელოვნურად, კერძოდ, არჩევნების გაყალბებისა და მოსყიდვის გზით. განცხადებაში იმავდროულად უარყოფილია ფიფას სპეციალური საგამოძიებო კომისიის არსებობა, რომლის სახელითაც მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაციებში გაურკვეველი პირები ზემოაღნიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს ვითომდა იძიებენ. ფიფა მოუწოდებს ფეხბურთის ყველა ფედერაციას, რომ ფიფას საგამოძიებო ინსპექტორის სახელით წარდგენილ ნებისმიერ პირს უნდობლობა გამოუცხადოს. (გეა).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

«ზეედორფი? არავითარ შემთხვევაში!»

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელმა რუუდ გულიტმა კატეგორიულად უარჰყო თავის გუნდში ჰოლანდიელ კლარენს ზეედორფის გამოჩენის ყოველგვარი შესაძლებლობა. ეს ნახევარმცველი, რომელიც ახლა მადრიდის „რეალში“ გამოდის, ცნობილია თავისი ყოველგვარ ზღვარსგადასული თავშეუკავებლობით, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც აქვს წინადადებები სხვადასხვა ევროპული კლუბებისაგან. როგორც „რეალის“ მწვრთნელი ჯონ ტოშაკი ირწმუნება, იგი მის კლუბში არავითარ შემთხვევაში აღარ დარჩება.

ეტყობა, შეშინდა!

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კევინ კიგანი სულ ცოტა ხნის წინათ არ აპირებდა ლონდონის კლუბ „ფულჰემის“ მიტოვებას, რომელიც უმაღლეს დივიზიონში გადაიყვანა. და, თან ინგლისის ნაკრებშიც იმუშავებდა.

და აი, მოულოდნელად, რადიოსადგურ „დოიჩე ველეს“ ცნობით, კიგანმა უკან დაიხია და თანახმაა „ფულჰემი“ დატოვოს, რადგან გაიგო, რომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას ჰქონდა მოლაპარაკება განთქმულ იტალიელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან.

პასარელა მიიწვიეს, მაგრამ

იმის მიუხედავად, რომ ურუგვაის ნაკრების ხელმძღვანელად უკვე დაიწყო მუშაობა დანიელ პასარელამ, ამ გუნდს ზაფხულში „კოპა ამერიკას“ გათამაშებაში მაინც უხელმძღვანელებს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვიქტორ პუა.

ტელემაგნატმა თავისას მიაღწია

ავსტრალიელმა ტელემაგნატმა რუპერტ მერდოკმა სპეციალური ხელშეკრულება გააფორმა უეფასთან, რომლის ძალითაც გერმანიის კლუბების მონაწილეობით უახლოესი 4 წელიწადში ჩემპიონთა ლიგის ყველა მატჩის ტელეტრანსლაციის ექსკლუზიური უფლება მიიღო.

ᲨᲠᲗᲘᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

(პირველი გვერდიდან)

ხმიადაშვილს, დარჩიამ — სანლის, ჯავახიშვილმა — სტირის, წურწუმიამ — სისმანს. ყაიმზე შეთანხმდნენ ლომინეიშვილი — ბოიკოვიჩი, მათნაძე — ვუკასანოვიჩი, ხორავა — ტყეშელაშვილი, ხურცილავა — მკრტჩიანი, ხლგატიანი — პეტრაკი.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ მაია ლომინეიშვილმა, ნინო ხურციძემ და სვეტლანა პრუდნიკოვამ 4-4 ქულა მოაგროვეს, ნატაშა ბოიკოვიჩმა, ანა მათნაძემ, სანია ვუკასანოვიჩმა, სოფიკო ნიკოლაძემ — 3,5-3,5 ქულა, რუსუდან გოლეთიანმა, სოფიკო ტყეშელაშვილმა, სოფიო გვეტაძემ, ნატო ეძგვერაძემ, მირანდა ხორავამ, მარია მანაკოვამ და ნილუფერ ჩინარმა — 3-3 ქულა. სწორედ ისინი ინარჩუნებენ შვიდეულში მოხვედრის მეტნაკლებ შესაძლებლობებს.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები, როგორც ასეთი ყაიდის ტურნირებისათვის არის დამახასიათებელი, უკვე საკმაოდ ფრთხილობენ. დეე, ბრძოლა იმათ გაამწვაონ, ვინც ლიდერებს ჩამორჩება და ამდენად უკანდასახევი გზა აღარა აქვს. შეჯიბრების დამთავრებამდე ხომ არც ისე დიდი დრო რჩება. ჯერ, რა თქმა უნდა, მაინც შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, თუმცა არ შეიძლება ახლავე არ ავღნიშნოთ ის სასიამოვნო შთაბეჭდილება, რომელსაც ტოვებს 15 წლის სოფიო გვეტაძის თამაში. გოგონა სრულიადაც არ ეპუება ავტორიტეტებს. ამის მაგალითია მის მიერ შავებით გამოცდილი ბერძენი დიდოსტატის, ანა ბოტსარი-მილადინოვიჩის (იგი საბერძნეთში გადასახლებულ ცნობილ იუგოსლავიელ დიდოსტატ მილადინოვიჩის მეუღლეა) დამარცხება. გარკვეული სიურპრიზია დაბალი რეიტინგის მქონე თურქ ნილუფერ ჩინარის მტკიცე თამაშიც.

ᲑᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ

ᲓᲝᲮᲝᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲥᲐᲠᲝᲕᲘ...

როცა მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი რომელიმე შეჯიბრებაში მონაწილეობს, მას ერთადერთი სეკუნდანტი ახლავს ხოლმე — ახალგაზრდა დიდოსტატი იური დოხოიანი. აი რამდენიმე კითხვა დოხოიანს, რომელთანაც საუბარი გერმანულ ჟურნალ „როხადეში“ გამოქვეყნდა.

● *ხომ არ ნიშნავს თქვენი თანამშრომლობა კასპაროვთან იმას, რომ თქვენ თვითონ ტურნირებში მონაწილეობას აღარ აპირებთ?*

— არა, მაგრამ ჩემი ახლანდელი საქმიანობა ძალიან მომწონს. ამ მუშაობის პერიოდში ბევრი რამ ვისწავლე.

● *თქვენ დღეისათვის კასპაროვის ერთადერთი მწვრთნელი ხართ?*

არა, საქმე მთლად ასე არ არის. ჩვენს შტაბს მიეკუთვნება აგრეთვე ოსტატი ალექსანდრ შაქაროვი. იგი კომპიუტერის სპეციალისტია, შინ ზის და კასპაროვისათვის სასურველ ვარიანტებს არჩევს.

● *კასპაროვი მუდმივად მუშაობს შაქაროვთან ერთად?*

— დიახ, უკვე 25 წელია. ისინი ხომ წარმოშობით ბაქოდან არიან. 1990 წლის შემდეგ ორივე ერთად გაიქცა მოსკოვში.

● *გარი ძალიან კმაყოფილია თავისი ახლანდელი სატურნირო შედეგებით?*

— დიახ, კმაყოფილია, მაგრამ ფიქრობს, რომ ზოგიერთ პარტიაში უკეთესი შედეგების მიღწევა შეეძლო.

იური დოხოიანი 34 წლისაა. მას ადრე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი ჰქონდა მოგებული ბერლინსა და მიუნხენში, ადრე გერმანიის ბუნდესლიგაშიც თამაშობდა, ახლა კი კასპაროვის მთავარი მწვრთნელია და თამაშისათვის ვეღარ იცლის.

კიდევ ერთი სუპერტურნირი

წლევანდელ მრავალრიცხოვან საჭადრაკო შეჯიბრებებდან სამი, სუპერტურნირად ჩაითვალა. ვეიკ-ანზეეხა და ლინარესში გაიმართება კასპაროვმა, დოს- ერმანასში კი ინგლიხელმა ადამმა.

და აი 16 მაისს სარაევოში (ბოსნია და ჰერცოგოვინა) დაიწყება კიდევ ერთი შეტად საინტერესო სუპერტურნირი 10 წამყვანი დიდოსტატის მონაწილეობით. ბრძოლაში ჩაებმებიან გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ევგენი ბარეევი (ოთხივე — რუსეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), იან ტიმანი (ჰოლანდია) და მასპინძელი ივან სოკოლოვი.

ახპარეზობა 26 მაისამდე გასტანს.

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ

ᲠᲝᲪᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ „ᲬᲔᲠᲐᲛ ᲐᲘᲖᲒᲐᲜᲐ“

ამ ბოლო ხანებში ინგლისში დიდი მოთხოვნაა სპორტულ ლიტერატურაზე. სპორტული წიგნები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც თვით მოთამაშეების დაწერილია, პირდაპირ ელვის სისწრაფით იყიდება. ასე, მაგალითად, ბუსტსელერადაც კი ჩაითვალა ცნობილ მცველ ტონი ადამსის წიგნი „ალკოჰოლიკი“.

ალბათ, იგივე ბედი ეწევა „ლივერპულის“ ცნობილ ვუნდერკინდ მაიკლ ოუენის სამ წიგნსაც. ამას წინათ ოუენმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ცნობილ გამომცემლობა „ჰარპერ კოლინზთან“.

მართალია, სპორტული წიგნები მშვენივრად საღდება, მაგრამ გამომცემლებს ის რისკიც გათვალისწინებული აქვთ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არაპროფესიონალთა ნაშრომებს. ამიტომ სპორტსმენებს ერთ ან უკიდურეს შემთხვევაში, ორ წიგნზე უდებენ ხოლმე კონტრაქტს. ახლა ოუენთან სამ წიგნზე ხელშეკრულების დადება იმას ნიშნავს, რომ „ჰარპერ კოლინზს“ სწამს ოუენისა, როგორც მწერლისა (თუმცა გამომცემლობის წარმომადგენელმა ისიც განაცხადა, რომ ოუენს „ერთგვარ დახმარებასაც“ აღმოუჩენენ.

ოუენი დიდ ჰონორარს მიიღებს, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება შეედაროს ცნობილი მწერლების გასამრჯელოს. ჯეფრი არჩერმა, მაგალითად, სამ წიგნში ოცდაორი მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო. ოუენის პირველი წიგნი, რომელიც ფეხბურთელის ოსტატობას შეეხება, უკვე ამ ზაფხულს გამოქვეყნდება. მისი გამოსვლა დაემთხვევა ფეხბურთის თემატიკაზე ექვსსერიიანი ფილმის ჩვენებას ინგლისურ კინოთეატრებში.

გაისად, ევროპის პირველობის შემდეგ, გამოვა მეორე წიგნი, რომელიც მაიკლ ოუენის ბავშვობის წლებს შეეხება. მესამე წიგნი, თვით ავტობიოგრაფია, გაიყიდება მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, როცა ოუენი 22 წლისა გახდება.

ახლა ოუენს ინგლისის ყველაზე მდიდარ სპორტსმენთა სიაში მე-17 ადგილი უჭირავს. იგი ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგს გამომცემლობისაგან უნდაც იმ შემთხვევაში მიიღებს, თუკი ახლავე მოინდომებს თამაშისათვის თავის დანებებას.

აქამდე ყველაზე დიდ სპორტულ ბესტსელერად ითვლებოდა კრიკეტის მსაჯ დიკი ბიორდის ავტობიოგრაფია, რომელიც ნახევარმილიონანი ტირაჟით გამოვიდა და გაიყიდა. ახლა კი ფიქრობენ, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონის მემუარებმა უნდა გადაასწროს, რომელიც წლის ბოლოს გამოვა. ფერგიუსონი გასამრჯელოდ მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

„ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲜᲝᲙᲐᲣᲢᲘᲗ“ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ

ამერიკელი ჯიმი ჰერიკი, რომ იტყვიან, ცალი ხელით (მარცხენით) უგებდა კანადელ მოკრივეს ჯერალდ რატს. ამან ისე გაათამამა იგი, რომ აბუჩადაც აიგდო მეტოქე, არც ბრძოლის კომენტატორობას მოერიდა და დასცინოდა კიდეც.

მსაჯმა რინგზე სამჯერ გააფრთხილა ამერიკელი, მაგრამ იგი არ იშლიდა. რეფერიმ შეწყვიტა ბრძოლა და კანადელს მიანიჭა გამარჯვება ტექნიკური ნოკაუტით. ამ მოულოდნელი და დასანანი დაბოლოების მიუხედავად, ჯიმის მაინც შერჩა იუმორის გრძნობა და განაცხადა:

— რეფერის მადლიერი ვარ, მგონი ისტორიაში შევალ. ვფიქრობ, მსოფლიოში არ მოიძებნება მოკრივე, რომელსაც პასიუში ასეთი სასაცილო ნოკაუტი ექნება, — განუცხადა ჟურნალისტებს.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲨᲘᲐ

როგორ გიზარდოს სტადიონზე დამსწრეთა რაოდენობა?

ეს პრობლემა საკმაოდ ორიგინალური ხერხით გადაწყვიტა იტალიის საფეხბურთო კლუბმა „აკ ჰელას ვერონამ“, რომლის ხელმძღვანელობამ ნება დართო ქალებს უფასოდ დასწრებოდნენ ფეხბურთის მატჩებს. ბევრი მამაკაცი ხომ ოჯახში უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად არ დადის თამაშებზე, ცოლებისათვის ძვირი ბილეთის შეძენა კი ჯიბეს დაემჩნევა...

ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲢᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა იტალიელი მსაჯი, რომელმაც „საყიმო“ დარტყმამდე რამდენიმე მეასედი წამით ადრე ჩაჰბერა სასტვენს და დაამთავრა „რომასა“ და „ატალანტას“ თამაში. გახელებულმა გულშემატკივრებმა სამსაჯო ოთახს ალყა შემოარტყეს. მაგრამ არბიტრი არ დაბნეულა, დაურეკა ძველ მეგობარს, ველოსიპედისტ ფ. ჯიმონდის. სტადიონზე იტალიელთა კერპი გამოჩენისთანავე უმალ თაყვანისმცემელთა რკალში მოექცა. ვიდრე იგი ავტოგრაფებს არიგებდა, არბიტრი გაჰქრა სარბიელიდან.

ᲪᲝᲚᲛᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲝᲓᲐ

ისეთი აჟიოტაჟი კანადელი ჰოკეისტის უეინ გრეცკის სარბიელიდან წასვლას რომ მოჰყვა, ნამდვილად იშვიათია, საერთოდ, სპორტში. ამ მოვლენას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. იწერება ყველაფერი ამ ვარსკვლავის პირად ცხოვრებაზეც.

თუმცა, დაქორწინებამდე მისმა ცოლმა ჯანეტმა თითქმის არაფერი იცოდა ჰოკეის შესახებ, ამიტომ დიდ ჰოკეისტს თამაშის ელემენტალური წესების ახსნა მოუხდა. ჯენეტი, თანდათან, რომ იტყვიან, ჰოკეის ეშმში შევიდა და იშვიათად თუ აცდენდა „რეინჯერსის“ თამაშს. მეტიც, ეგედრებოდა მეუღლეს ასე ხელაღებით ნუ გადაწყვეტ სპორტიდან წასვლასო. სხვათა შორის, ოდნავადაც არ შენელებულა მისი სიყვარული ჰოკეისადმი მას მერეც კი, შარშან, „მედლონ სკვერ გარდენში“ თავზე რომ დაემსხვრა სათადარიგო ჰოკეისტთა გამშიჯავი მინა.

ᲜᲐᲒᲐᲜᲝᲡ ᲜᲐᲚᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲯᲣᲯᲐ

გრეცკიმ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კორესპონდენტს განუცხადა, რომ თან მიჰყვება ნაგანოს წარუმატებელი ექსპერიმენტი!

თუმცა, შარშან 37 წლის გრეცკის რომ უთხრეს ოლიმპიურ ნაკრებში ხარო, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, ვინაიდან ნაგანოს ტურნირში მიწვევა გაცილებით ახალგაზრდა მესესაც არ ღირსებია.

მაგრამ გრეცკის ოლიმპიურ დებიუტს წარმატება არ ეწერა, კანადის ეროვნული ნაკრების გამოსვლა ყველაზე დიდ გაწბილებად ჩათვალა ამ ოცნების-ტურნირზე, რომელშიც ისტორიაში პირველად მონაწილეობდნენ მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტები, „ნეკერჩხლის ფოთოლი“ ნაგანოდან უმეტესებოდ დაბრუნდა შინ, გრეცკისთვის კი იაპონური ექსპერიმენტი ერთადერთი წარუმატებელი გამოდგა მთელს კარიერაში.

ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ

ყოველად მოულოდნელად, საფრანგეთის ფეხბურთის გუნდების „სან-მორიაკისა“ და „პუტირეს“ მატჩის საკასო შემოსავალი სარეკორდო აღმოჩნდა, რის გამოც, მოზეიმე მოლარემ სტადიონის ჭიშკარზე სახელდახელოდ აღმართა პლაკატი: „გმადლობთ, მობრძანებისთვის!“

სალაროში დაბრუნებულს პირკატი ეცა, რადგან მთელი შემოსავალი გაძარცვული იყო. ცეცხლგამძლე ყუთში ფულის ნაცვლად ბარათი დახვდა: „დიდი მადლობა, ინფორმაციისათვის!“

FRANCE 98 ᲖᲝᲚᲘᲓ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ (ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲗ)



ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ



14 მაისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. იბერია. ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), საქართველოს ხმა. მსოფლიოს სტადიონებზე (12.30, 19.30). ***HTB პლუს ფუტბალ.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.20), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.05), შოტლანდიის ჩემპიონატი (17.15, 19.15), გერმანიის ჩემპიონატი (22.55), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“ (0.55). ***ESPN.*** ფეხბურთი: ევროპის საფეხბურთო კვირეული (1.30), ჰოლანდიიდან — „ფორტუნა სიტარდი“ — „აიაქსი“ (14.30), 18.30 და 16.00 — მსოფლიო ფეხბურთის მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.30), მძლეოსნობა. გრან-პრი (16.30).

15 მაისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. ***საქართველოს ჩემპიონატი.*** დინამო (თბილისი) — გურია (ლანჩხუთი) (18.00). ***II არხი.*** ავტოსპორტი (19.40). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***ევროკა.*** „სტუმარი“ (19.45). ***OPT.*** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი (22.50). ***TB ცენტრ.*** „ფორმულა-1“. მსოფლიო ჩემპიონატი (15.55). ***HTB პლუს ფუტბალ.*** გერმანიის ჩემპიონატი (14.00, 21.00), შოტლანდიის ჩემპიონატი (16.15), ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (18.30). ესპანეთის ჩემპიონატი (23.55). ***HTB პლუს სპორტ.*** ბატუტი. მსოფლიო თასი (19.55), ცხენოსნობა. აკრობატიკა და დოღი. „პრიენეს სტეიკსის“ პრიზზე (1.30). ***ESPN.*** ფეხბურთი. „მსოფლიო ფეხბურთი“ (2.00), კალათბურთი. ნბა (3.30, 4.00, 10.00, 22.00), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (17.30). ფეხბურთი. საფრანგეთის თასის ფინალი (23.45).

16 მაისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ვაჟები: საქართველო — პორტუგალია (18.25), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***ევროკა.*** კვირის სპორტი (17.15), ***TB ცენტრ.*** „ფორმულა-1“. მსოფლიო ჩემპიონატი (16.50), ***HTB პლუს ფუტბალ.*** ფეხბურთი, ამერიკის ლათინური ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (17.30), იტალიის ჩემპიონატი (19.25, 23.10), ინგლისის ჩემპიონატი (21.25). ***HTB პლუს სპორტ.*** ბატუტი და აკრობატიკა. მსოფლიო თასი (14.35). ***ESPN.*** ფეხბურთი, უეფას თასის ფინალი: „ოლიმპიკი“ — „პარმა“ (1.30), 22.00 და 0.00 — ინგლისის პრემიერლიგა. ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00), მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (2.15).

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ �პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲯᲣᲚᲐᲓ: 1. კავაზაშვილი, 4. ბიკილა, 5. დინამო, 8. ბალაში, 9. ლატეკი, 10. გაბელია, 13. ონტარიო, 16-17. ერერა, 18. რიოსი, 19. კალოვეი, 22. მანჩინი, 28-29. სარმა, 30. მენეა, 32. უბილავა, 36. როდნინა, 38. სალაძე, 39. ჯუღელი, 41. იკპბა, 42. რატინი, 43. ოლიმპიაკოსი. **ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. კანჯა, 2. ამანსიო, 3. იდალგო, 4. ბუბკა, 6. ოდიში, 10. გორე, 11. ბერხკამპი, 14. რაიციგერი, 15. ორსი, 26. კანუ, 27. სენა, 31. ბოკშიჩი, 33. ბესტი, 34. ალემაო, 36. რუჯერი, 37. ნაიკი. **ᲓᲘᲐᲒᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ:** 19-2. კოსტა-კურტა, 20-7. ლატინინა, 21-22. ვიალი, 2-25. ანპილოგოვი, 7-24. ალიოხინი, 12-23. იეზოა, 19-44. კახიაშვილი, 20-40 ლაგუტინი, 21-35. ვოტრო, 35-23. ონეგა, 40-24. იაკუშევი, 44-25. ინწკირველი.

ᲨᲝᲚᲪᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲨᲣᲚᲪᲘ ᲕᲐᲠ!

ავსტრიის ქალაქ პიორჩის ოტელის რესტორანში სახეგაბრწყინებული ადმინისტრატორი შევიდა და საზეიმოდ განაცხადა: — „ქალბატონებო და ბატონებო! წილად გვხვდა ბედნიერება მივესალმოთ ცნობილ გერმანელ მოკრივეს, ევროპის ჩემპიონ "შოლცს!" რის შემდეგაც ცხვირჩამტვრეულ ძალიან მამაკაცზე მიუთითა. ყველა ფეხზე წამოიჭრა მისასალმებლად. ავტოგრაფის მოყვარულები შემოეხვივნენ პოპულარულ სპორტსმენს. დაბნეული მამაკაცი ამაოდ ცდილობდა რაღაცის ახსნას. მას საპატიო სტუმრების წიგნი გაუწოდეს ხელმოსაწერად. დამსწრენი ადგილზე გაშეშდნენ, როცა წაიკითხეს ჩანაწერი: „ჯილობაში ერთხელ აღმოჩნდი მოკრივე, ეზოში ვიჩხუბე და წარუმატებლად. ცხვირი გამიტყდა კიბიდან რომ დავგორდი. ადმინისტრატორი ამაოდ გაისარჯა, დამადგა შოლცის გვირგვინი. მე შოლცი კი არა, შულცი ვარ!“.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲭᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

Ვ. ᲡᲣᲩᲙᲝᲕᲘ (რუსეთი)



ᲨᲐᲛᲐᲗᲘ 4 ᲡᲕᲚᲐᲨᲘ

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მb4! მუქარა 2. მ:c6X.
1. ...მფe5 2. მd5+ მფd4 3. ლc3X.
2. ...b4 3. ლ:b4X.
1. ...მფe5 2. მ:c6+ მფf6 3. ლe7X.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელის“ სამგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე